ახალი გაგრძელება

31.10-06.11.2019

№33 (867) გაგრძელება 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

2 | ლალი ჯელაძე

პერსპექტივაში დანახული პროფესია

ოქტომბრის მონაცემებით, წელს, მასწავლებლად მუშაობის დაწყების უფლება 1890-მა პედაგოგმა მოიპოვა. აქედან, საჯარო სკოლებში ვაკანტურ ადგილებზე 1400 დასაქმდა, 490 კი განათლების სისტემაში იყო დასაქმებული (ტექმო სკოლა, სხვა პოზიცია ან სხვ.).

4 | ლალი თვალაბეიშვილი

სათქმელი, რომელიც გამომცემლებს დაუგროვდათ

ინტერვიუ კახმეგ კუდავასთან

7 | ლალი თვალაბეიშვილი

დაუდგენელი საზღვრები – ადგილი, რომელმაც მათი ცხოვრება შეცვალა

შეხვედრა ახალგაზრდა მასწავლებლებთან

პერსპექტივაში დანახული პროფესია

ლალი ჯელაძე

„ახალი მასწავლებლების უპრეცედენტო რაოდენობა ნიშნავს, რომ რეფორმის შედეგად მასწავლებლობა პრესტიჟული და მიმზიდველი პროფესია ხდება“ – ასე მიმართა **მიხეილ ბატიაშვილმა** სამინისტროში შეხვედრაზე მისულ ახალგაზრდა მასწავლებლებს, რომლებმაც წელს პირველად დაიწყეს მასწავლებლის პროფესიით სკოლებში მუშაობა.

ოქტომბრის მონაცემებით, წელს, მასწავლებლად მუშაობის დაწყების უფლება 1890-მა პედაგოგმა მოიპოვა. აქედან, საჯარო სკოლებში ვაკანტურ ადგილებზე 1400 დასაქმდა, 490 კი განათლების სისტემაში იყო დასაქმებული (კერძო სკოლა, სხვა პოზიცია).

არსებული მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, საჯარო და კერძო სკოლებში 100-ზე მეტი ვაკანსიაა გამოცხადებული. ლიდერობს მათემატიკა (16), ბიოლოგია (11), ისტორია (10), მუსიკა (10), ფიზიკა (10) და ა.შ.

მასწავლებლის პროფესიის მსურველთა რიცხვი, ბოლო დროს, საგრძნობლად გაიზარდა – ზაფხულში, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების გამოცდაზე, მასწავლებლობის მსურველი 10 000 აპლიკანტი (რასაც მინისტრი უპრეცედენტო მოვლენად აფასებს) დარეგისტრირდა. მათგან 30%-მა დადგენილი უმაღლესი – 10-კრედიტიანი ბარიერი დაძლია.

„ეს კი ნათლად აჩვენებს, რომ განათლების რეფორმის შედეგად, მასწავლებლობა პრესტიჟული პროფესია ხდება. რაც შეეხება სკოლებში გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილებს, 1470 საჯარო სკოლის მიერ 4500-მდე ვაკანსია გამოცხადდა. Teacherjobs.ge-ზე სულ 17 400 აპლიკანტი დარეგისტრირდა, დაახლოებით 51 350 საათზე“ – განაცხადა მინისტრმა.

მიხეილ ბატიაშვილმა, სისტემაში ახლად შესულ პედაგოგებთან შეხვედრაზე, რეფორმის დადებითი ასპექტების გარდა, არსებულ გამოწვევებზეც ისაუბრა. ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად მცირეკონტინგენტიან და სოფლის სკოლებში ათწლეულების განმავლობაში არსებული პრობლემა დაასახელა. მინისტრის თქმით, საქართველოს სკოლების ნახევარი, 1-დან 100-მოსწავლიანი სკოლაა (სულ 900-ზე მეტი სკოლა), რომელიც, ისტორიულად, კვალიფიციური მასწავლებლის დეფიციტს განიცდის.

მასწავლებლის სახლის პროგრამის „ასწავლე საქართველოსთვის“ ფარგლებში, 150 წარგზავნილი მასწავლებელი, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში არსებულ დეფიციტს ვერ ავსებდა, მოთხოვნილი მასწავლებლების მხოლოდ 40%-ს აკმაყოფილებდა, ყოველწლიურად. მასწავლებელთა მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამებზეც, ათწლეულებია, კონკურსი არ იქმნება და ე.წ. უფასო პროგრამებზეც კი, ყოველწლიურად, კონტინგენტი 530-მდე ადამიანს არ სცდება. წელს, პედაგოგის პროფესიის პრესტიჟის ზრდის ტენდენციის მიუხედავად, უნივერსიტეტები, აკადემიური პროგრამების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, უახლოესი 5-10 წლის მანძილზე, საჭირო კადრების მომზადებას ვერ უზრუნველყოფენ.

„სწორედ თქვენი მონაწილეობით გადაიჭრება მცირეკონტინგენტიან სოფლის სკოლებში, ათწლეულობით, არსებული პრობლემები. ამიტომ მიიღო სამინისტრომ გადაწყვეტილება, გაძლიერდეს ისეთი მიზნობრივი პროგრამები, როგორიცაა მაძიებლობის პროგრამა – დღეისათვის სისტემაში 2000-მდე მაძიებელი პედაგოგია. პირები, რომლებსაც რომელიმე დისციპლინის/საგნის, მინიმუმ, ბაკალავრის ხარისხი აქვთ, სკოლაში კონკურსის გავლის შედეგად, 2-წლიან მომზადების პროგრამაში ერთვებიან, დისტანციური მომზადების კურსს გადიან და საკვალიფიკაციო გამოცდას აბარებენ. მაძიებლობის პროცესში მასწავლებლები პრაქტიკოსი მასწავლებლის ოდენობის ანაზღაურებას იღებენ. მასწავლებლის ეროვნული სკოლა საშუალებას აძლევს როგორც მოქმედ, ისე მასწავლებლობის მსურველებს, გაიარონ 3-თვიანი ინტენსიური პროგრამა და ასწავლონ ერთზე მეტი მომიჯნავე საგანი, მაგალითად, ისტორია-გეოგრაფია-სამოქალაქო განათლება, ან ქიმია-ბიოლოგია და ა.შ. ამ პროგრამაზე 4000 პირი დარეგისტრირდა. 24-25 ოქტომბერს – გასაუბრებები, ხოლო ნოემბერში ტრენინგი გაიმართება. პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ გააგრძელებს მასწავლებლების წარგზავნას განსაკუთრებით მოშორებულ და მთის სკოლებში“ – განაცხადა მინისტრმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ქალაქისა და სოფლის მოსწავლეებს შორის აკადემიურ მიღწევებში განსხვავებები და ყველა სკოლას მოტივირებული, კვალიფიციური, მაღალი სოციალური სტატუსის მქონე, დაფასებული მასწავლებელი ეყოლება. 2019-20 სასწავლო წლის დასაწყისში სწორედ ამისთვის განხორციელდა სახელფასო მატება და შედეგად, სრულ განაკვეთზე, უფროსი მასწავლებლის საშუალო ხელფასი 1011 ლარი გახდა, წამყვანი მასწავლებლის – 1417 ლარი, ხოლო მენტორი მასწავლებლის – 1745 ლარი. ხელფასი, ასევე, მოემატათ იმ მასწავლებლებს, რომლებიც არ ასწავლიან სრულ განაკვეთზე და ამ მატებამ, საშუალოდ,100 ლარი შეადგინა. ცვლილება შევიდა მასწავლებელთა საათობრივი დაანგარიშების წესში და ის მასწავლებლები, რომლებიც 18 საათზე მეტს ჩაატარებენ, დამატებით მიიღებენ საათობრივ დანამატს, საშუალოდ, 30 ლარის ოდენობით. 6400-ზე მეტმა მასწავლებელმა, საქართველოს მასშტაბით, სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ორი წლის ხელფასის ოდენობის სახელმწიფო ჯილდო მიიღო. აღნიშნული პრივილეგიით სარგებლობის უფლება, 2019 წლის ბოლომდე, ნებისმიერ პრაქტიკოს, საპენსიო ასაკს მიღწეულ მასწავლებელს აქვს.

მინისტრი ახალგაზრდა მასწავლებლებს დაჰპირდა, რომ რეფორმის ფარგლებში, სამინისტრო ყოველმხრივ შეუწყობს ხელს როგორც ახალ მასწავლებლებს, ასევე არსებულ, პრაქტიკოს პედაგოგებს, რომ მეტად განვითარდნენ და სტატუსიც აიმაღლონ.

მინისტრის მოადგილემ, **ირინა აბულაძემ** აღნიშნა, რომ ახალი პედაგოგების სისტემაში მოზიდვას წინ ძალიან რთული სამუშაო უძღოდა და ძალიან ფრთხილად მიუდგნენ ამ საკითხს, რადგან *„მასწავლებლის რეფორმის განხორციელებისას მრავალმხრივი მიზანი გვქონდა, არსებული კადრების ნახალისება და ახალი კადრების მოზიდვა, რასაც კარგი ბალანსი სჭირდებოდა. სწორად გაზომილმა პოლიტიკამ მოიტანა ახალი პედაგოგების დიდი ინტერესიც. დარწმუნებული ვარ, არც თქვენ გენდომებოდათ ისეთ სისტემაში შემოსვლა, სადაც თქვენს წინამორბედ კოლეგებს არ აფასებენ. იმედი გვაქვს, რომ ეს ყველაფერი, მომავალში, ძალიან კონკრეტული შედეგებით – ჩვენი მოსწავლეების საერთაშორისო დონეზე აკადემიური მიღწევების დამაჯერებლად გაუმჯობესებით წარმოჩინდება.*

ბუნებრივია, ვაცნობიერებთ, რომ ქვეყნისთვის ისტორიულ მომენტში ვიმყოფებით. ამიტომ მოგმართავთ, რომ იყოთ ძალიან მოზომილები და ჩვენთან ითანამშრომლოთ. საერთაშორისო კვლევების მიხედვით, საუკეთესო კვალიფიკაციის ახალგაზრდებიც კი, პირველი სამი წლის განმავლობაში, სკოლას ტოვებენ, რადგან არსებული საერთაშორისო პრაქტიკით, დამწყები მასწავლებლისთვის სწორედ პირველი ორი-სამი წელია ყველზე რთული პერიოდი. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ დასაწყისში ძალიან გაგიჭირდებათ – მოგიწევთ ღამეების თენება, ბევრჯერ – საკუთარი ემოციების მოთოკვა. რთულია ამდენი ბავშვის მართვა – საგაკვეთილო პროცესის მართვა. ზოგადად, მასწავლებლობა იოლი საქმე არ არის, ამიტომ, გისურვებთ, იყოთ წარმატებულები და მთავარი გამოცდა, რომელიც ახლა თქვენს ცხოვრებაში იწყება, ღირსეულად გაიაროთ. გპირდებით, ყველანაირად დაგეხმარებით პროფესიულ განვითარებაში, თუნდაც კონსულტაციებით, იმისთვის, რომ ყველაზე რთული წლები კარგად გაიაროთ და საკუთარი შედეგებით კმაყოფილი დარჩეთ.“

ვაკანსიების შესახებ საუბრისას ირინა აბულაძემ განაცხადა, რომ დღევანდელი მონაცემებით არსებული 100 ვაკანსია სულაც არ არის ბევრი იმის ფონზე, რაც სასწავლო წლის დასაწყისში იყო. *„არ ვფიქრობთ, რომ რამდენი კადრიც გადის სისტემიდან, იმდენივე უნდა მოვიდეს. სკოლებს ვაძლევდით რეკომენდაციებს, რომ მაქსიმალურად გაეკეთებინათ საათების შიდა გადანაწილება. იმ მიმართულებით მივდივართ, რომ მასწავლებლობა სრულგანაკვეთიანი პროფესია გავხადოთ. ეს მნიშვნელოვანია როგორც ხელფასის კუთხით, ისე მოსწავლისთვისაც. თუ გვინდა, რომ მასწავლებელმა მოსწავლესთან გაკვეთილების შემდგომ იმუშაოს და აღარ შეითავსოს რეპეტიტორობა, მაშინ მას სრული განაკვეთი და გაზრდილი ხელფასი უნდა ჰქონდეს. ამიტომ, ასეთი მიდგომა პირდაპირი გეზია მასწავლებლისთვის – აიღოს მაქსიმალური საათების რაოდენობა. მეტი ინტერესის გასაჩენად, 18 საათის ზემოთ, დანამატიც კი დავაწესეთ. არსებული მონაცემებით, პირველივე ეტაპზე, სრულგანაკვეთიანი მასწავლებლების რაოდენობა, მინიმუმ, 10 პროცენტით გაიზარდა. მანამდე, მხოლოდ 40 პროცენტი იყო სრულ განაკვეთზე და 60 – არასრულზე, რაც, თავისთავად, იმას ნიშნავს, რომ პედაგოგთა უმეტესობა, სამი ან ხუთი საათის ჩატარებით, მაღალ ანაზღაურებას ვერ მიიღებდა. ამიტომ, ყველას აწყობს ეს მიდგომა. დარწმუნებული ვარ, მომავალი სასწავლო წლისთვის, სრულ განაკვეთზე მომუშავე მასწავლებელთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.*

კარგია, რომ ვაკანსიები ივსება და იქ, სადაც ჯერ კიდევ არ შევსებულა, სკოლებს სხვადასხვა გამოსავალს ვთავაზობთ, თუნდაც, ახლახან გამოცხადებული „მასწავლებლის ეროვნული სკოლაც“ ამ მიზანს ემსახურება. უკვე 4 ათასი მასწავლებელი დარეგისტრირდა. კომისიებიდან ძალიან კარგი ინფორმაცია მოგვდის კონკურსანტების შესახებ. სკოლაში იმისთვის რეგისტრირდებიან, რომ შეთავაზებული კურსის გავლის შემდეგ, ერთზე მეტი საგნის სწავლება შეძლონ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირეკონტინგენტიანი სკოლებისთვის. სწორედ ეროვნული სკოლა მისცემთ მათ საშუალებას, რომ ერთზე მეტი საგნის კვალიფიციური მასწავლებლები გახდნენ.

ბევრი გეგმა გვაქვს, მაგრამ სისტემაში თქვენი შემოსვლა ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოტივაციაა იმისთვის, რომ უფრო მეტი გავაკეთოთ. დარწმუნებულები ვართ, კარგად ითანამშრომლებთ ჩვენთანაც და თქვენს უფროს კოლეგებთანაც, რომლებიც სკოლებში დაგხვდნენ. მათი გამოცდილება ძალიან დასაფასებელი და მნიშვნელოვანია. მჯერა, სათანადო უნარებს გამოიჩენთ და სკოლის კოლექტივში კარგად ჩაეწერებით. გისურვებთ წარმატებებს, გამძლეობას და, რა თქმა უნდა, თქვენი მოსწავლეების საუკეთესო შედეგებს წლის ბოლოს.“

ახალბედა მასწავლებლები საკმაოდ გამბედავებიც აღმოჩნდნენ, რადგან შეხვედრის ბოლოს მინისტრთან და მინისტრის მოადგილესთან იმ პრობლემატურ საკითხებზე საუბარი სცადეს, რომელიც მათ მასწავლებლობის პირველივე თვეებში დაინახეს.

შემცირდება თუ არა კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა და იქცევა თუ არა დაწყებული რეფორმა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად, რომ ახალი ხელისუფლების ან მინისტრის მოსვლის შემთხვევაში კურსი უცვლელად შენარჩუნდეს, მოსწავლე, მასწავლებელი და სკოლა კი ისევ საცდელ პოლიგონად არ იქცეს (რისი მაგალითებიც ხშირად გვქონია).

ირინა აბულაძემ განაცხადა, რომ კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება უახლოეს პერიოდში არ იგეგმება, რადგან ამისთის უფრო მეტი სკოლის შენობა და მეტი მასწავლებელია საჭირო. გრძელვადიან პერსპექტივაში კი, ბუნებრივია, სამინისტრო ნორმად ქცეული 29 მოსწავლის შემცირებაზე მუშაობს. *„ეს პრობლემა, უმეტესად, დიდი ქალაქების სკოლებს აქვს. თბილისში ძალიან მწვავედ დგას ინფრასტრუქტურის პრობლემა, რადგან ცენტრალურ უბნებში, პრაქტიკულად, სახელმწიფოს საკუთრებაში არ არსებობს ფართები და მიწები, სადაც ახალი სკოლების აშენება შეიძლება. ახლა სწორედ ამ საკითხზე ვმუშაობთ, გვინდა, რომ დიდი სკოლები განვტვირთოთ. მაგალითად, პირველი ექსპერიმენტული სკოლა, რომელსაც 3 000 მოსწავლე ჰყავს, 55-ე საჯარო სკოლა, პირველი კლასიკური გიმნაზია და ა.შ. ასე რომ, გრძელვადიან გეგმაში ეს საკითხი განიხილება, თუმცა, ჯერ ინფრასტრუქტურული პრობლემები და მასწავლებლების პოლიტიკა უნდა მოვაგვაროთ, რომ ისეთი მდგრადი სისტემა შევქმნათ, რომელიც ამ ტიპის გადაწყვეტილებას აიტანს. გარდა ამისა, ვამუშავებთ კონცეფციას – ახალი სკოლები, რომლებიც აშენდება, შესაძლებელია იყოს არა სამივე საფეხურისთვის – დაწყებითი, საბაზო და საშუალო – არამედ რომელიმე კონკრეტული საფეხურისთვის განკუთვნილი. ეს არის რეფორმის კონცეპტუალური ხედვა, რაც საერთაშორისო პრაქტიკითაა მიღებული. თუმცა, არსებული სკოლების შემთხვევაში, კარგად მოსაფიქრებელია, როგორ შევძლებთ მსგავს სისტემაზე გადასვლას, რადგან, ძირითადად, მაინც საბჭოური ტიპის ორ და ხუთსართულიანი შენობები გვაქვს. ახალი სკოლის აშენების შემთხვევაში, სადაც დაწყებითი საფეხური გვექნება, ვფიქრობთ, ინტეგრირებული გავხადოთ სასკოლო მზაობის პროგრამებთან – სკოლამდელი განათლება და დაწყებითი სკოლა. ბევრი ასეთი კონცეპტუალური ხედვა გვაქვს, რომელსაც მივყვებით და იმედია, მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში, მალე გახდება ეფექტური.“*

რაც შეეხება რეფორმის მდგრადობის საკითხს, მინისტრმა განაცხადა, რომ: *„რეფორმაზე ფიქრის დაწყებისთანავე, გადავწყვიტეთ, ისეთი მექანიზმი ჩაგვედო, რომელზეც მინისტრის ცვლილება გავლენას ვერ მოახდენდა. ჩვენი სურვილი იყო, ისეთი რეფორმისთვის ჩაგვეყარა საფუძველი, რომელიც უკან შესაბრუნებელ/დასახევ გზას აღარ დატოვებდა“*. ამის გარანტად კი ყოფილი პრემიერის, მამუკა ბახტაძის დამსახურებით მიღებული კანონი დაასახელა, რომელიც განათლებისთვის ყოველწლიურად მზარდ ბიუჯეტს გულისხმობს, რაც, საბოლოო ჯამში, 2022 წლისთვის დასახულ მიზნამდე მიგვიყვანს. *„ამიტომ მინისტრის გამოცვლას არანაირი მნიშვნელობა აღარ ექნება, სწორ გზაზე ვდგავართ და ეს უზრუნველყოფილია კანონით. მთავარია, რომ რესურსის უზრუნველყოფა დავამკვიდრეთ. ამის გარდა, ჩვენ მოვახერხეთ და, შემდეგი წლიდან, გაზრდილი ბიუჯეტის გარდა, დონორებისგან 600 მილიონი დოლარი მოვიზიდეთ, პროცესში ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია ჩავრთეთ, თავისი რესურსებით,*

შეხვედრა ახალგაზრდა მასწავლებლებთან

რაც კიდევ უფრო მყარ გარანტიას იძლევა, რომ კურსი შენარჩუნდება და დაწყებული საქმე ბოლომდე მივა – კანონი და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა ამ პროცესებს შეუქცევადს გახდის.“

და მაინც, რატომ აირჩიეს ახალგაზრდებმა მასწავლებლობა და რა პერსპექტივას ხედავენ ამ პროფესიაში?

თამარ საჩანელი
155-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

მაგისტრატურის დასრულების შემდეგ ორი ალტერნატივა მქონდა: სკოლაში მუშაობა, დაახლოებით, 170 ლარად ან ბანკში მუშაობა ხუთმაგი ხელფასით. მაშინ არ მქონდა იმის ფუფუნება, რომ მასწავლებლობა ამერჩია და საყვარელი საქმე მეკეთებინა, ამიტომ ბანკში დავიწყე მუშაობა. შვიდი წლის განმავლობაში ვიმუშავე, ვიყავი ფილიალის მენეჯერი. თუმცა, განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმების გამო, გადავწყვიტე, ბანკიდან წამოვსულიყავი და მასწავლებლობა დამეწყო, რაც ჩემთვის ძალიან შემოქმედებითი საქმეა.

რეფორმის წყალობით „ახალი სკოლის მოდელშიც“ ვარ ჩართული, როგორც ქოუჩის ასისტენტი. ამავდროულად, ქართულ ენასა და ლიტერატურასაც ვასწავლი. მთელი ჩემი ძალებით ჩავერთე საყვარელ პროფესიაში და ვაკეთებ საყვარელ საქმეს. ბანკიდან სახლში 7 საათზე მოვდიოდი და სამსახურზე საერთოდ აღარ ვფიქრობდი, ახლა პირიქით ხდება, ღამის პირველ-ორ საათამდე მომავალი დღის გაკვეთილებს, ახალი სკოლის მოდელის მატრიცებს ვგეგმავ. დილით მივდივარ ბედნიერი. ეს ძალიან საინტერესოა და, როგორც დედა, ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შვილი ისწავლის მოდელით, რომელიც უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული და არა დაზეპირებაზე.

სკოლაში მაძიებლის პროგრამით შევედი, უკვე 30 წლის ვარ, ვფიქრობ, გვიან არასდროს არის დასაქმდე საყვარელ პროფესიაში, აკეთო ის, რაც სიამოვნებას განიჭებს, თან შესაბამისი ანაზღაურება აიღო.

სხვათა შორის, რა პრობლემებსაც ველოდი სკოლაში, თუნდაც, მიმღებლობის მხრივ, არ დამხვდა. არაჩვეულებრივი კოლექტივია, შეიძლება მე გამიმართლა. დირექტორიც და კოლეგებიც მომართული არიან, როგორ დამიჭირონ მხარი და როგორ დამეხმარონ.

რის შეცვლას ვისურვებდი სისტემაში? ერთადერთი, მეტი ტექნოლოგიური მხარდაჭერაა საჭირო. ყველა კლასში უნდა იყოს ტექნიკური შესაძლებლობები, რომ ბავშვებს აჩვენო ფილმები, ვიდეოსიუჟეტები, საჭირო დროს ისარგებლო ქსეროქსით და ა.შ. დანარჩენი, ვფიქრობ, ყველაფერი რიგზეა. ახალგაზრდებს, უკვე ამ გადმოსახედიდან, ვურჩევ, გააკეთონ არჩევანი და წავიდნენ სკოლებში. ვფიქრობ, დავამსხვრიე სტერეოტიპი პრესტიჟული და არაპრესტიჟული პროფესიების შესახებ. წლები ვაკეთე საქმე (თან, რასაკვრველია, ხარისხიანად), რომელიც პრესტიჟულ სამსახურადაც ითვლებოდა, მაგრამ არანაირ სიამოვნებას არ მანიჭებდა, ახლა ვაკეთებ საქმეს, რომელიც სიამოვნებასაც მანიჭებს და ვფიქრობ, ყველაზე პრესტიჟულია პროფესიებს შორის. ხშირად გაკვირვებული მეკითხებიან, ბანკიდან რამ წამოგიყვანა სკოლაშიო – ვპასუხობ, რომ ეს ჩემთვის ყვლაზე კომფორტული სფეროა და თან ძალიან მნიშვნელოვანიც. საგნის გამოცდა ჩაბარებული მაქვს, ახლა მაძიებლის პროგრამით დისტანციური სწავლების კურსს გავდივარ. იმედი მაქვს, პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, უფროსი მასწავლებელი გავხდები.

არჩილ ჭავჭანიძე
175-ე საჯარო სკოლის სამართლისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი

თავისუფალი განათლება ყოველთვის აღწევს შედეგს და ეს არის დემოკრატიის განვითარების გარანტი. პირადად ჩემთვის, გარდა იმისა, რომ სტუდენტებთან მაქვს შეხვედრები და ტრენინგებს ვატარებ, დიდი სტიმულია სკოლაში მუშაობა. ეს იმის შესაძლებლობაა, რომ განათლება, რომელიც უნივერსიტეტში მივიღე, მომავალ თაობას გადავცე. ჩემი მიზანი იყო, დავხმარებოდი იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სამართალი აინტერესებთ და სწავლის გაგრძელებას იურიდიულ ფაკულტეტზე აპირებენ. მინდოდა, შუამავლის როლი შემესრულებინა და დამეკავშირებინა უნივერსიტეტსა და სკოლას შორის ჩატეხილი ხიდი. სამწუხაროდ, სრულიად გაუცნობიერებლები არიან უფროსკლასელები მათი მომავალი პროფესიის შესახებ. 175-ე საჯარო სკოლაში, სადაც არჩევით საგნად „სახელმწიფო და სამართალი“ ისწავლება, საუკეთესო შესაძლებლობა მომეცა და პროფესიიდან გამომდინარე, სამოქალაქო განათლების საგანიც შევითავსე.

აქამდე პედაგოგიური გამოცდილება არ მქონია, მაგრამ როცა დირექტორს, თინათინ ალავიძეს ჩემი მიზნები გავაცანი, დამთანხმდა, ჩავერთე სკოლის ცხოვრებაში.

7 ნოემბერს „სამოქალაქო განათლების“ საგნის გამოცდა უნდა ჩავაბარო. რადგან მასწავლებლობა ძალიან მომწონს, ამ პროფესიაში საქმიანობის გაგრძელებას ვაპირებ, უფროსი მასწავლებლის სატატუსის მოპოვებისთვის ვიზრუნებ, შემდეგ მენტორობისთვისაც ვიბრძოლებ.

მასწავლებლობა ძალიან საპასუხისმგებლო პროფესიაა, მაგრამ ამას ყველა ახალგაზრდა ასეთი პრინციპით უნდა მიუდგეს: შეცვალოს ის, რაც თვითონ არ მოსწონდა სკოლაში. დასაფასებელია ჩვენი მასწავლებლების ღვაწლი, მაგრამ თანამედროვე ცხოვრებაში ყველაფერი იცვლება, მათ შორის, სწავლების მიდგომებიც. პირველ რიგში, მოსწავლეებთან უშუალოები უნდა ვიყოთ, მასწავლებლის პირველი გასაღები კი მარტივია – მნიშვნელობა არა აქვს მესამეკლასელია თუ მეთორმეტე, მოსწავლეს უნდა ვაჩვენოთ, რომ ის დამოუკიდებელი პიროვნებაა და არა შენზე პატარა ადამიანი, რომელსაც თითის ქნევით შეიძლება ველაპარაკო.

გელა ლეჟავა
198-ე საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

მაძიებლის პროგრამამ საშუალება მომცა მასწავლებელი გავმხდარიყავი, ეს პროფესია კი ყველაზე მეტად მიზიდავდა, მასწავლებლობა ბავშვობიდან მინდოდა. ვფიქრობ, ეს არის საქმე, რომელიც ყველაზე კარგად გამომივა. ამაში ჯერ კიდევ მაშინ დავრწმუნდი, როცა სწავლის პერიოდში, ერთ-ერთ საჯარო სკოლაში, სტაჟირება გავიარე. რთული და საპასუხისმგებლო პროფესიაცაა, ექიმის პროფესიასთან ერთად. მასწავლებელი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ჩამოყალიბების პროცესზე.

25 წლის ვარ, ეს ჩემი პირველი სამსახურია და მიხარია, რომ სწორად ვიპოვე ადგილი სფეროში, რომელსაც მომავალს დავუკავშირებ. სპეციალიზებულ სკოლაში ვასწავლი, სადაც სსსმ ბავშვებთან მიწევს მუშაობა, ინკლუზიურ განათლებასთანაც პირველად მაქვს შეხება. მართალი გითხრათ, პირველი კვირა ძალიან რთული იყო. თუმცა, მიუხედავად სირთლეებისა, მე ჩემი თავი სკოლაში აღმოვაჩინე, ამაში ძალიან დამეხმარა კოლექტივი, რომელიც აქ დამხვდა. მაძიებლის პროგრამაში თავისთავად ჩავერთე, თუმცა, დისტანციური სწავლების ნაცვლად, მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამა ავირჩიე, რომელსაც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავდივარ. საგნის კომპეტენცია კი ზაფხულში დავადასტურე.

ქეთი ქორიძე
75-ე საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი

მასწავლებლის პროფესია ბავშვობიდან მიყვარდა და ჩემი ოცნება იყო, სკოლაში დამეწყო მუშაობა. როცა უნივერსიტეტში ჩავაბარე, გავიგე, რომ მხოლოდ ქიმიის ბაკალავრის ხარისხით მასწავლებელი ვერ გავხდებოდი, ამიტომ 60-კრედიტიანი მაინორ პროგრამა ავირჩიე პედაგოგიკაში. ჩემი არჩევანით კმაყოფილი ვარ, იმედია, ნოემბერში საგნის კომპეტენციასაც დავადასტურებ და სტატუსს ავიმაღლებ. მასწავლებლობა ნამდვილად ის პროფესიაა, სადაც მომავალში გავაგრძელებ მუშაობას. თუმცა, სიძნელეებიც ახლავს – როცა კლასში 33 მოსწავლე გიზის, რთულია იოლად მართო საგაკვეთილო პროცესი. იმედი მაქვს, ყველაფერს დავძლევ (მე-8, მე-10 და მე-11 კლასებს ვასწავლი), რადგან მთელი გულით ვარ ჩართული და ვგრძნობ, რომ ეს ჩემი საქმეა. მაძიებლის პროგრამა ძალიან კარგი ინიციატივაა, რადგან ამ პროგრამით ახალგაზრდებს სკოლებში შესვლის საშუალება მოგვეცა და, რაც მთავარია, ჩვენ შევძელით სურვილები რეალობად გვექცია.

❖ ❖ ❖

ირინა აბულაძემ ახალგაზრდებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ყველა რეფორმას აუცილებლად სჭირდება საზოგადოებრივი მხარდაჭერა (ამის გარეშე რეფორმა ვერ შედგება) და რომ ამ პროცესში მათი როლი განუსაზღვრელია: *„თუ თქვენ, მასწავლებლები, საკუთარ თავზე არ იგრძნობთ ამ სიკეთეებს და არ აგრძნობინებთ მშობლებს – რატომ არის კარგი, რომ გახდით მასწავლებლები, მაშინ ამ რეფორმას საზოგადოებისგან მხარდაჭერა არ ექნება. რაც უნდა კარგი იდეა არსებობდეს, შეიძლება საზოგადოებრივმა წნეხმა მისი განხორციელება შეაფერხოს, ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან, მათ უნდა იცოდნენ რა ხდება მათი შვილების თავს, რას სწავლობენ ან ვერ სწავლობენ, როგორ ზრუნავთ თქვენ მათი განვითარებისთვის. ეს აუცილებელია თუნდაც იმისთვის, რომ მშობელმა დაიჯეროს, რა მნიშვნელოვანია ახალგაზრდა კადრების სკოლაში შესვლა. საზოგადოებრივი აზრის ერთიანობა პროცესების თანმიმდევრულობის გარანტიაა, განათლების რეფორმას კი ყველაზე მეტად სჭირდება თანმიმდევრულობა, მინიმუმ, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში – ძალიან კურსირებული განვითარება, სხვა შემთხვევაში, ეს ათ წელინადშიც ვერ მოიტანს შედეგს.“*

ახალი ამბები

მართლწესრიგის ოფიცრების შეხვედრები მოსწავლეებთან

გრძელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგებისა და შსს-ს მართლწესრიგის ოფიცრების შეხვედრები თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან და პედაგოგებთან. შეხვედრების მონაწილეებს მანდატურები საგანმანათლებლო დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით დაგეგმილ ღონისძიებებს აცნობენ და ამომწურავად პასუხობენ დასმულ შეკითხვებს; ფსიქოლოგები კი, მოზარდებს ბულინგის თაობაზე ესაუბრებიან და მის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს განიხილავენ; აჩვენებენ საინფორმაციო-შემეცნებით ვიდეოკლიპებს ბულინგის შესახებ. მანდატურის სამსახურის უფროსმა, **გელა გელაძემ** მანდატურის სამსახურში მიმდინარე რეფორმების შესახებ მცირე პრეზენტაციები წარმოადგინა.

26 ოქტომბერს, ძველი თბილისის რაიონის მართლწესრიგის ოფიცრებმა, თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში გამართეს მოსწავლეებთან საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა. ღონისძიებაში, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა, ასევე მონაწილეობდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგები და მანდატურები.

მართლწესრიგის ოფიცრები მოზარდებს ბულინგის თემაზე ესაუბრნენ და აღნიშნული პრობლემის ერთობლივად გადაჭრის გზებზე იმსჯელეს. სამართალდამცველებმა მოსწავლეებს მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის მნიშვნელობაც გააცნეს და თავიანთი მუშაობის სპეციფიკაზე ესაუბრნენ. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

მართლწესრიგის ოფიცრის კომპეტენცია, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, არასრულწლოვნებსა და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მათზე რეაგირებას, ასევე, ამ დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას მოიცავს. მართლწესრიგის ოფიცრები სკოლის მოსწავლეთა საინფორმაციო და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში აქტიურად არიან ჩართული.

გიორგი გვასალია, მართლწესრიგის ოფიცერი: *„ძველი თბილისის მართლწესრიგის ოფიცრებს შეხვედრა გვქონდა თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლე-ახალგაზრდობასთან. მათ ჩვენი დანაყოფის მიზნები და ფუნქცია-მოვალეობები გავაცანით, ასევე საუბარი გვქონდა ისეთ აქტუალურ თემაზე, როგორიცაა ბულინგი. მოვისმინეთ მათი მოსაზრებები და ერთად ვიმსჯელეთ ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე.“*

მაკა სახურია, თბილისის კლასიკური გიმნაზიის პედაგოგი: *„შეხვედრის თემა იყო ბულინგი, ბულინგის პრევენცია, რაც მწვავე პრობლემაა მოზარდებში. მართლწესრიგის ოფიცრები ესაუბრნენ ბავშვებს, აღუწერეს პრობლემა, ასწავლეს მისი გადაჭრის გზები, ასწავლეს თანამშრომლობისა*

და სოლიდარობის წესები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს პრობლემა აღმოიფხვრას. საერთოდ, მასწავლებლები ვფიქრობთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობა, ამ მხრივ, აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.“

მართლწესრიგის ოფიცრებმა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელი გააცნეს, ასევე, უსაფრთხოებისა და დანაშაულის პრევენციის შესახებ მოსწავლეებისა და მშობლების მიერ დასმულ შეკითხვებსაც უპასუხეს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, მართლწესრიგის ოფიცრებმა, მანდატურებსა და სკოლის მოსწავლეებთან ერთად, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, ამხანაგურ საკალათბურთო მატჩში მიიღეს მონაწილეობა.

საინფორმაციო შეხვედრებს სკოლებში მომავალშიც განაგრძობენ.

სახელმძღვანელოები

სათქმელი, რომელიც გამომცემლებს დაუგროვდათ

ვაგრძელებთ სახელმძღვანელოების გრიფირებაზე საუბარს. გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორთან, კახმეგ კუდავასთან ჩემი შეხვედრის მიზანიც ეს იყო, თუმცა საუბარმა ბევრი სხვა თემაც მოიტანა. შეხვედრა საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა და საუბრის თემა – მრავალფეროვანი. ბატონმა კახმეგმა რამდენიმე წლის წინ განვითარებული მოვლენებიც გაიხსენა, როდესაც სახელმწიფომ გამომცემლებს ისეთი გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა, რომ შედეგების ლიკვიდაცია დღემდე ვერ მოხერხდა, რამდენიმე გამომცემლობა გაკოტრების პირასაც კი მივიდა. შეიძლება, ვინმემ იკითხოს, რა საჭიროა უკვე ჩავლილი ამბების გახსენება, მაგრამ მსგავსი მასშტაბის მოვლენებს უკვალოდ არასოდეს ჩაუვლია, როგორც წესი, ჯაჭვური რეაქციასავით მოჰყვება ხოლმე პროგლემები, რომლებიც მტკივნეულად აისახება ამ დარტყმის სამიზნე ჯგუფზე, ჩვენ შემთხვევაში – გამომცემლობებზე.

გამომცემლებს ბევრი სათქმელი დაუგროვდათ, შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ მათი სათქმელის საზოგადოებამდე მიტანას. კახმეგ კუდავასთან საუბარს არა კითხვა-პასუხის ფორმატში, არამედ მცირე თემებად დაყოფილს წარმოგიდგენთ, რადგან სრული ვერსია საგაზეთო ფორმატს გასცდებოდა.

შავი ბაზარი

თბილისი 2021 წლის წიგნის მსოფლიო დედაქალაქად გამოცხადდა, მიხარია, გილოცავთ, მიმაჩნია, რომ ეს არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ფრანკფურტში ჩვენი შარშანდელი წარმატებები. პრაქტიკულად, ეს ფრანკფურტის გაგრძელება იყო და არის. როგორ ვხვდებით ასეთ საპასუხისმგებლო ტიტულს? თუ წიგნზე ვლაპარაკობთ, საზოგადოდ, კოლაფსია, თავიდან ბოლომდე.

„შავ ბაზარზე“ გამოჩნდა არალეგალურად გამრავლებული წიგნები, მათ შორის, სასკოლო სახელმძღვანელოები. რამდენიმე დღის წინ მეტროსადგურებთან მდებარე წიგნის მაღაზიები მოვიარეთ და ვნახეთ ჩვენი მხატვრული ლიტერატურა, ორი წიგნი წამოვიღეთ კიდეც, გარკვეული შეხლა-შემოხლაც კი იყო. ასე გვითხრეს: სულ 100 ცალია დაბეჭდილი (ვინ დაბეჭდა გვარს ვერ გეტყვითო), რა ვქნა, 6 შვილი მყავს და ოჯახი ხომ უნდა ვარჩინოო. სახელმწიფომ რომ წაგართვათ წიგნები და მილიონობით ფული დაკარგეთ, იმ ფონზე, დიდი ამბავი, 100 ცალი ჩვენი იყოსო – ასეთი ლოგიკა აქვთ. კანონი არ არსებობს, თუ ოფიციალურ სახეს მისცემ, 500 ლარით დააჯარიმებენ და იმ ფულსაც ბიუჯეტი წაიღებს. 10 წლის წინ გვქონდა მსგავსი შემთხვევა, ერთ-ერთი სტამბა ბეჭდავდა შავი ბაზრისთვის, ვიჩივლეთ და 1200 ლარით დააჯარიმეს, ისიც ბიუჯეტმა წაიღო და ადვოკატის ფულიც ჩვენ გადავიხადეთ. წელს ისევ აყვავდა „შავი ბაზარი“. თავისუფლად, ღიად იყიდება კონტრაფაქტური წიგნები. დაზარალდნენ „სულაკაურის გამომცემლობა“, „ინტელექტი“, „პედაგოგიკა“, „წყაროსთვალი“... მივმართეთ ფინანსთა სამინისტროს, რეაგირება იგვიანებს. შავი ბაზრის ზურგს უკან, რა თქმა უნდა, გარკვეული ჯგუფები დგანან, მფარველები, არა რიგითი ადამიანები.

ბეჭდვის მონოპოლია

რაც სახელმძღვანელოები წაგვართვეს, იმის მერე ბეჭდვის მონოპოლიაა, პირდაპირი შესყიდვის გზით და არა ტენდერის საფუძველზე. თუ რამე არ შეიცვალა, ძალიან ცუდ დღეში აღმოვჩნდებით. მე არა მარტო ჩემს მოსაზრებას გამოვხატავ, არამედ ჩვენი ავტორებისა და იმ გამომცემლების, რომლებიც ამაზე არ ლაპარაკობენ, შინაგანად გვეთანხმებიან, მაგრამ ხმამაღლა ვერ ამბობენ. ეშინიათ, რომ მათზე შურს იძიებენ იმით, რომ გრიფირებაზე აღარ გაუშვებენ.

თავის დროზე, მთელი თვე გვქონდა მოლაპარაკება ალექსანდრე ჯეჯელავასთან იმის თაობაზე, რომ დისკები, რომელსაც გამარჯვების შემთხვევაში ჩავაბარებთ, უნდა ინახებოდეს ნეიტრალურ ორგანიზაციაში, მაგალითად, კერძო საერთაშორისო ორგანიზაციებში და ა.შ. დიდი ალბათობით, ვისაც ეს დისკები აქვს მიბარებული და ბეჭდავს სახელმძღვანელოებს, ვთქვათ, 19 000 ეგზემპლარს, დაბეჭდავს 20 000-ს და 1000-ს შავ ბაზარზე გაუშვებს. ჩვენ ამის გაკონტროლების საშუალება არ გვაქვს. ეს ის ხალხია, ვისაც მონოპოლია აქვს ბეჭდვაზე. აგერ უკვე მერამდენედ პირდაპირი შესყიდვის გზით იბეჭდება სახელმძღვანელოები.

თქვენი თავი წარმოიდგინეთ, ერთ მშვენიერ დღეს გეუბნებიან, თქვენი წიგნები ჩვენ უნდა დავბეჭდოთ და თქვენი ნაშთები, ანუ მარაგები (420 000 მოქმედი სახელმძღვანელო) არ გვაინტერესებსო და კიდევ საჯაროდ გლანძღავენ. ისეთი პიარი იყო აგორებული და საზოგადოებაში ისეთი განწყობა შექმნეს, სადმე რომ მეთქვა გამომცემელი ვარ-მეთქი, პასუხად ვიღებდი, თქვენ არ ხართ, თითო წიგნს 10 ლარად რომ ყიდითო. მაგრამ დავანებოთ წარსულის ამბებს თავი და ვისაუბროთ იმაზე, რა მდგომარეობაა დღეს.

ქართული სკოლების სახელმძღვანელოების ბეჭდვა პირდაპირი შესყიდვის გზით კვლავ მონოპოლისტებს მისცეს. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მილიონიანი ლარის პროექტი იყო. წელს სამინისტროს ვთხოვეთ, ბეჭდვის მონოპოლიზაცია რომ არ განმეორებულიყო, ლოტებად დაეშალათ, მართლაც ასე მოხდა. „ინტელექტმა“ თავისი წიგნების დაბეჭდვაში ტენდერი მოიგო. შემდეგ ეს ტენდერი გააუქმეს.

დღევანდელი სურათი

სახელმძღვანელოები რომ იბეჭდება, გარკვეული თანხა გვეკუთვნის ავტორებსა და გამომცემლებს. I-VI კლასების სახელმძღვანელოების კუთვნილი ჰონორარი ჯერაც არ მიგვიღია. წესით ივნის-ივლისში უნდა მოეცათ. ახლა გვიწევს ხვეწნა, მათ კი მიზეზი არ ელევათ, რომ პროცესი გააჭიანურონ.

წარმოიდგინეთ ავტორების მდგომარეობა, ისედაც სამარცხვინო ჰონორარია და ისიც რომ არ აქვთ მიღებული. ეს ხომ დაცინვაა ინტელექტუალური საკუთრების, საავტორო უფლებების.

წიგნების წართმევამდე ავტორებს კარგ ჰონორარს ვუხდიდით. ამაზე გვითხრეს, თქვენ თურმე 25%-ს უხდიდითო, მე რომ საშუალება მქონოდა, უფრო მეტს გადავუხდიდი, რადგან მიმაჩნია, რომ კარგ ჰონორარს თუ მისცემ ავტორს, უკეთეს სახელმძღვანელოს დაწერს.

როცა თამარ სანიკიძეს ვეუბნებოდით, თუ ღირსეული ჰონორარი არ იქნება, წიგნების დონე დაიწევსო, ასე გვიპასუხა: ჩვენ მოვძებნით ისეთ ავტორებს, ახალგაზრდებს, რომლებიც იმითაც ბედნიერი იქნებიან, რომ წიგნის გარეკანზე მათი გვარი ეწერება. ამას რომ განათლების მინისტრი იტყვის! ასეთი ავტორები თუ შემოვლენ (და აუცილებლად შემოვლენ), სახელმძღვანელოების დონე დაიწევს. ხელოსანსაც კი კარგ პროფესიონალს ეძებენ ხოლმე, არათუ სახელმძღვანელოს ავტორს. საქმე ძალიან ცუდად არის, იმაზე ცუდად, ვიდრე საზოგადოებას ჰგონია.

სასაცილოა, სავალალო რომ არ იყოს

წელს, ივნისში გამოცხადდა რამდენი სახელმძღვანელო და რა ტირაჟით უნდა დაბეჭდილიყო. მე-12 კლასის მათემატიკის მოქმედი სახელმძღვანელო, დაახლოებით, 20 000 ეგზემპლარი მაქვს დარჩენილი, 6 000-ზე იყო მოთხოვნა. მივედი სამინისტროში, ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში და ვუთხარი, რომ მე-12 კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოს 6 000 ეგზემპლარს გჩუქნით-მეთქი. ვერ ვიჩუქებთო. შეკითხვაზე – რატომ? მიპასუხეს, ყველამ რომ ასე გააკეთოსო?! ამას რა სჯობს, ყველამ რომ გაჩუქოთ სახელმძღვანელოები, ბიუჯეტი ხომ დაიზოგება-მეთქი, მაგრამ ვინ ფიქრობს ბიუჯეტზე. ვთხოვე, წერილობით ეპასუხათ, რომ უარს ამბობდნენ სახელმძღვანელოების ჩუქებაზე. 4-5 დღე ფიქრობდნენ, ალბათ კონსულტაციები გაიარეს იქ, სადაც ჯერ არს.

ერთი პირობა მქონდა, რომ სახელმძღვანელოების გარეკანზე, უკან, დაეკრათ სტიკერები და დაეწერათ – საჩუქრად გამომცემლობა „ინტელექტისგან“. ეს არ მოეწონათ. ყველგან ვიტყვით, რომ გვაჩუქეთო. თქმა ერთია და მინდა, რომ ფაქტი დაფიქსირდეს. იცით, რა თანხის დაზოგვაზეა ლაპარაკი? 6 ათასი წიგნის შემთხვევაში (ძალიან დიდი მოცულობის წიგნია), 25 000-30 000 ლარზე. ამ მიმოწერის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც მაქვს. ბოლოს დაგვთანხმდნენ. აი, ასეთი ფაქტი იყო. თითქოს კომიკური სიტუაციაა, მაგრამ სასაცილო ნამდვილად არ არის, უფრო სავალალოა.

ამის პარალელურად, აფხაზეთის სამინისტროს ვაჩუქეთ, დაახლოებით, 2000 ეგზემპლარი (დამხმარე ლიტერატურა, რვეულები, კრებულები, ტესტები თუ სხვა წიგნები). ისინი საჩუქარს მიესალმნენ, არ უყოყმანიათ, პირიქით, დიდი მადლობა გვითხრეს.

ბიზნესის შეზღუდვა

კერძო სკოლებისათვის სახელმძღვანელოებს გამომცემლობები ბეჭდავენ (მათი კონტინგენტი საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის 7%-ია, ამ ბაზარს ალტერნატიულ სახელმძღვანელოებს ოცამდე გამომცემლობა აწვდის), სულ ვფიქრობდით, თუ წართმევა იყო, ამ 7%-ის წართმევასაც რა უნდოდა, რატომ დაგვიტოვეს. სასამართლოში სიარულისას ერთ-ერთმა მოსამართლემ ძალიან მარტივად აგვიხსნა, ეს 7%-იც რომ წაეღოთ, მაშინ ამას ბიზნესის წართმევა ერქმეოდა, ახლა კი ბიზნესის შეზღუდვასთან გვაქვს საქმეო. 93%-ს რომ წამართმევ, შეზღუდვაა? უბრალოდ, არ უნდათ, რომ ჩვენ განვვითარდეთ. რა ბიზნესსაც აწარმოებ, მისი განკარგვის უფლებაც უნდა გქონდეს.

უცხოელი კოლეგები, ჩვენთან არიან, მაგრამ...

დიდი მეგობრობა გვაკავშირებს გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაციასთან. ჩვენი პრობლემების შესახებ რომ შეიტყვეს, ჩამოსული იყვნენ და არც განათლების მინისტრმა არ მიიღო და არც კულტურის მინისტრმა (ამ სამინისტროების გაერთიანებამდე იყო).

ერთ-ერთ საერთაშორისო ფორუმზე 10-წუთიანი მოხსენებით წარდგა საქართველოს წიგნის გამომცემელთა და ქართველ გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარე გვანცა ჯობავა და ქართველი გამომცემლობების ირგვლივ შექმნილ ვითარებაზე ისაუბრა. მოუსმინეს ქართველ იურისტებსაც. დიდი ბჭობის შემდეგ გვითხრეს, ჩვენ ვერაფრით დაგეხმარებითო, თქვენ საქმე კრიმინალებთან გქონიათო. ჩვენ ის ორგანიზაცია ვართ, რომელმაც თურქეთში დაალაგა პრესის თავისუფლების საკითხები, სადაც ლამის იარაღით მიდიოდა ბრძოლა, მაგრამ თქვენთან გაცილებით რთული ვითარებააო.

მსოფლიო ასოციაციის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ თბილისში და შეხვდნენ მინისტრის მოადგილეს, თეიმურაზ მურღულიას, შემდეგ თქვეს, აბსოლუტურად ზუსტად ხედავს ყველაფერსო, ჩვენ რასაც ვეუბნებით, იმასაც კარგად ხვდება, მაგრამ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიმღები არ არისო.

მთელი ეს პროცესი დაიწყო მაშინ, როცა გიორგი მარგველაშვილი გახდა განათლების მინისტრი. მასთან მივიდა მესტამბეებისა და მფარველების ჯგუფი და უთხრეს, უცხოეთში რომ იბეჭდება წიგნები, ახლა ჩვენ დავბეჭდავთო. ეს იყო საბაბი. სად არის დისკები, იკითხა მარგველაშვილმა (როცა ვიმარჯვებდით, დისკებს ვაბარებდით სამინისტროს და ახლაც ვაბარებთ), დისკები ჩვენთან არისო, მაშინ ვინ ეკითხება გამომცემლებს და ავტორებსო. წავიდა ბიძინა ივანიშვილთან, როგორ ეტყოდა უარს უფასო სახელმძღვანელოებზე. ჩვენ ხაზგასმით გვინდა ვთქვათ, რომ უფასო სახელმძღვანელოების წინააღმდეგი არც ერთი გამომცემელი და ავტორი არ ვართ და არც ვყოფილვართ, მაგრამ ეს სახელმძღვანელოები მისი მფლობელისგან უნდა შეიძინონ, ავტორებისგან და გამომცემლებისგან, მათ კი თვითონ დაბეჭდეს და შეგვატოვეს დიდი ტირაჟებით უკვე დაბეჭდილი სახელმძღვანელოები. ჩვენგან წართმეული სახელმძღვანელოების „უფასოდ“ დამრიგებელი მინისტრი პრეზიდენტად მოგვევლინა.

გრიფირების დეტალები

წიგნები გრიფირებაზე წარადგინა, ვთქვათ, რამდენიმე გამომცემლობამ. თქვენ მიიღეთ მაქსიმალური 100 ქულა, მე – 90 ქულა, თქვენ ჯერ არ ხართ პირველ ადგილზე გამარჯვებულად აღიარებული. თუ თქვენმა დაბალქულიანმა კონკურენტმა შესასყიდ ფასად უფრო ნაკლები თანხა აჩვენა, დაბალქულიანი წიგნი შეიძლება აღმოჩნდეს პირველ ადგილზე, 100-ქულიანი კი გარეთ დარჩეს. რატომ ვიხსენებ ძველს, იმიტომ რომ ეს პროცესი გრძელდება, ამ გზით მიდიან, არ გვაქვს უფლება, ტენდერის გარეშე ჩავატაროთ გრიფირებაო, ტენდერს ეძახიან, ფასი რომ აქვს მიბმული. ასეთი რამ მშენებლობების ტენდერებზე ხდება, ვეუბნებოდით მურღულიას, წიგნი არ არის ქვიშა ან აგური, ეს არის ინტელექტუალური შრომა, ვისაც მეტი ქულა აქვს, იმან უნდა გაიმარჯვოს. ამიტომ დაკარგა ფასი სახელმძღვანელოს შინაარსმა, ხარისხმა.

ეს ნიშნავს, რომ ბეჭდვას ტენდერის გარეშე უშვებ და მე კი, ინტელექტუალურ საკუთრებას, ტენდერით მიშვებ?! ეს არ არის დარღვევა? არ დგას ამის უკან ვიღაცის ინტერესი?! გამოდის, რომ ბეჭდვა უფრო მნიშვნელოვანია! ერთ-ერთმა ჩინოსანმა ასეთი რამ გვითხრა, ერთი გამაგებინეთ, ავტორმა გამოიგონა (ეს სიტყვა იხმარა), ტიპოგრაფიამ (მისივე სიტყვაა) დაბეჭდა, თქვენ, გამომცემლები, რას აკეთებთო. გააგებინე ასეთ ჩინოსანს, რას აკეთებს გამომცემლობა! რა ტონით იყო, იცით, ეს ნათქვამი, ე.ი. თქვენ აკეთებთ ფულს, თორემ ავტორი მოიტანს, სტამბა დაბეჭდავს და თქვენ ზედმეტი მგონიხართო. ასეთი დონის ხალხთან გვქონდა საქმე.

გრიფირების დროს საგნის ყველა ექსპერტი უნდა კითხულობდეს ყველა წარმოდგენილ წიგნს (მაგალითად, ისტორიის სახელმძღვანელოს), შედარების საშუალება რომ ჰქონდეს.

არც რეცენზენტების ანონიმურობაა სწორი. არა მგონია, ეს ობიექტურობის გარანტია იყოს, პირიქით, შეიძლება მეტი დარღვევის საფუძველიც კი გახდეს, როცა დარწმუნებული ხარ, რომ შენს გვარს ვერავინ გაიგებს. გვითხრეს, როცა გრიფირება დამთავრდება, მერე გავხსნითო „საიდუმლოს“. ჩვენ სხვისი არ გვაინტერესებს, გვინდა ვიცოდეთ, ჩვენი წიგნები

სახელმძღვანელოები

ვინ შეამოწმა. პასუხი არ მიგვიღია. შარშან ასეთი რამაც ითქვა, რომ ისინი (რეცენზენტები) არ არიან თანახმანი, რომ მათი გვარები გასაჯაროვდეს. წელს ვითარება თითქოს შეიცვალა, მაგრამ ნდობა უკვე დაკარგულია.

არაქართულენოვანი სკოლები

გამომცემლობა „ინტელექტს“ ამ სკოლების სახელმძღვანელოების გამოცემის 25-წლიანი გამოცდილება აქვს. არ ვეთანხმები ტერმინს „არაქართული სკოლები“, სწორია „არაქართულენოვანი სკოლები“. ეს ყველა ქართულია, რადგან პროგრამა აქვთ ქართული, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სკოლებია და საქართველოს მოქალაქეები არიან.

მაგალითად, აზერბაიჯანულ სკოლებში ქიმია იწყებოდა მე-7 კლასიდან, სომხურში – მე-8 კლასიდან, მეზობელი სახელმწიფოებიდან (აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან) შემოჰქონდათ წიგნები, მათ შორის ისტორიის სახელმძღვანელოები (ახლაც შემოაქვთ). ჩვენ ეს სკოლები ქართული სკოლები გავხადეთ, პროგრამა არის ერთი, შეიზღუდა სახელმძღვანელოების შემოტანა. უკვე სხვა პროგრამა იყო, ვერც რუსეთის, სომხეთის და აზერბაიჯანის ისტორიას შემოიტანდნენ.

რა ხდება მერე? არაქართულენოვან სკოლებში სახელმძღვანელოები ერთი წლით გვიან შედის. ეს დრო თარგმნას სჭირდება. VII-XII კლასები ახლაც ძველი წიგნებით სწავლობენ. გამოდის, რომ ქართულ სკოლებში და არაქართულენოვან სკოლებში იდენტური სახელმძღვანელოებით აღარ ასწავლიან. ამიტომ იმათ ისევ შემოაქვთ წიგნები. ორი წლის წინ რუსებმა შემოიტანეს ისტორიის სახელმძღვანელო, სადაც საქართველოს რუკაზე აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ამოჭრილი იყო. ამის შესახებ სტატიაც დაიბეჭდა, მაგრამ არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია. ჩვენ რომ ვაგვიანებთ წიგნების შეტანას, იმათაც, სადაც ეთნიკურად აზერბაიჯანელი, რუსი და სომეხი საქართველოს მოქალაქეები სწავლობენ, საბაბი ეძლევათ, რომ ისევ შემოიტანონ. იქაურ ბიზნესმენებს შემოაქვთ, რომლებსაც იმ მიზეზით, რომ თავიანთ დიასპორაზე ზრუნავენ, გარკვეული შეღავათებიც კი აქვთ. სავსეა ბიბლიოთეკები ამ წიგნებით. ეს პრობლემა არავის არ აინტერესებს.

ჰონორარები

წელს გამოაცხადეს გრიფირება, პირველი-მეექვსე კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოების სამ ენაზე თარგმნის კონკურსი. ეს წიგნებია: მასწავლებლის წიგნი, მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული და ა.შ. „ინტელექტმა“ 72 წიგნი თარგმნა, ხელშეკრულებები დავუდეთ მთარგმნელებს, ჩავაბარეთ თარგმანები სამინისტროს, უკვე ოთხი თვე გავიდა და ამბობენ, რომ ავთენტურობას ამოწმებენ, სწორია თუ არა თარგმანი. ჩვენ სამ თვეში მოვამზადეთ წიგნები, ისინი კი უკვე ოთხი თვეა კითხულობენ, ავთენტურია თუ არა. დრო ხომ გაიჭიმა, ხელშეკრულებაში ჩადებული გვქონდა, რომ მთარგმნელებს ივნისში გადავუხდით ჰონორარს, ჯამში, საკმაოდ დიდ თანხაზეა საუბარი. სანამ ავთენტურობაზე არ მოვა დასკვნა, ჩვენ ჰონორარს ვერ გავცემთო. გვირეკავენ მთარგმნელები, მათ უზარმაზარი შრომა გასწიეს. ზოგს ეჭვიც კი შეეპარა, ხომ არ ვატყუებთ. მივეცით ტელეფონის ნომერი, რომ თავად დაერეკათ, სააგენტოში უპასუხეს, თქვენ ჩვენთან არ გაქვთ დადებული ხელშეკრულება და გამომცემელს მიმართეთო. ახლაც არ არის ჰონორარები გაცემული.

ეს პროცესი ივნისში უნდა დასრულებულიყო, რომ სექტემბერში წიგნები სკოლებში შეეტანათ. იმ ჯგუფებს, ვისაც სახელმძღვანელოები შემოაქვთ მეზობელი ქვეყნებიდან, უხარიათ ალბათ, რომ აგერ ნოემბერიც დადგა და ჯერ სახელმძღვანელოები მზად არ არის. ჩვენი სამინისტრო კი სკოლებს და?პირდა, ახალი პროგრამით ისწავლითო.

❖ ❖ ❖

სახელმძღვანელოების თემა, ზოგადად და კონკრეტულად – გრიფირება, ჩვენი საუბრის თემა მომავალშიც, ალბათ, კიდევ არაერთხელ იქნება. დღევანდელი საუბარი კი, ისე გამოვიდა, რომ უფრო მეტად წარსულს ეხებოდა, ვიდრე წლევანდელ გრიფირებას, მაგრამ ეს ის საკითხებია, რომელზე პასუხი ჯერ არავის გაუცია და არც გამომცემლებისთვის მოუხდია ბოდიში იმ მორალური და მატერიალური ზიანისთვის, რაც მათ მიადგათ.

ესაუბრა **ლალი თვალაბეიშვილი**

ახალი ამბები

აბასთუმნის ობსერვატორია ყველა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებისთვის ხელმისაწვდომი გახდება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **გიორგი ვაშაკიძემ** და უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის მეცნიერების განვითარების სამმართველოს უფროსმა, **ზაზა მარუაშვილმა** ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერ თანამშრომლებთან შეხვედრა გამართეს. საუბარი შეეხო ობსერვატორიის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების პროცესს, რომელიც ყველა მეცნიერ თანამშრომელთან კომუნიკაციისა და შეთანხმების გზით წარიმართება.

გიორგი ვაშაკიძემ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია ამ მასშტაბის, მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო დაწესებულების შემდგომი განვითარება, გაძლიერება და მისი საერთაშორისო ჩართულობის ხარისხის ამაღლება გლობალურ სამეცნიერო სივრცეში.

შეხვედრაზე, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მხარეები არაერთ საკითხს შეეხნენ, მათ შორის, სხვადასხვა უნივერსიტეტში ასტრონომიის მიმართულების განვითარების სტიმულირებას სახელმწიფოს მხრიდან, ახალგაზრდა კადრების აღზრდის მიზნით. გიორგი ვაშაკიძის თქმით, სამინისტროს პოლიტიკა სწორედ იქითკენაა მიმართული, რომ ობსერვატორია ხელმისაწვდომი გახდეს ყველა უმაღლესი სასწავლებლის, სამეცნიერო ორგანიზაციისთვის, მეცნიერებისა და ახალგაზრდა მკვლევრებისთვის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. შესაბამისი მემორანდუმის საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, ისევე როგორც სხვა უნივერსიტეტებს, შესაძლებლობა ექნება, სასწავლო პროცესში გამოიყენოს ობსერვატორიის რესურსები.

მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა, რომ ობსერვატორიის რეორგანიზაციის დასრულების შემდგომ გადაიხედება და სარგებლობლად გაძლიერდება სახელფასო პოლიტიკა. გარდა ამისა, ობსერვატორიის ტერიტორიაზე არსებული ყველა შენობა ახლად შექმნილი სსიპ-ის ბალანსზე გადავა და მის განკარგვას ადმინისტრაცია სრულად შეძლებს.

მეცნიერების განვითარების სამმართველოს უფროსმა, ზაზა მარუაშვილმა მეცნიერ თანამშრომლებთან საუბრისას აღნიშნა, რომ კონცეფციაში, რომელიც ობსერვატორიის განვითარების მიზნით შეიქმნება, მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული აბასთუმნის ობსერვატორიის ნიშა და როლი მსოფლიო მასშტაბით. ამის შემდგომ, მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, მოხდება მისი ტექნიკური აღჭურვა და მოდერნიზაცია. მან კონცეფციის შემუშავებაში უცხოელი მეცნიერების ჩართვის აუცილებლობასაც გაუსვა ხაზი. სამინისტრო კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დამატებითი დაფინანსების სტიმულირებას.

შეხვედრის ბოლოს გიორგი ვაშაკიძემ აღნიშნა, რომ სამინისტროს მიზანია, ობსერვატორიის მაგალითზე, დაინერგოს კარგი პრაქტიკა, რომელსაც სხვა კვლევითი დაწესებულებებიც გაიზიარებენ.

ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია განთქმულია მსოფლიოს მასშტაბით და მის ბაზაზე, 80 წელზე მეტია, უწყვეტი მეცნიერული კვლევები და ასტრონომიული დაკვირვებები მიმდინარეობს.

საქართველოში ვებსტერის უნივერსიტეტი დაიწყებს ოპერირებას

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და აშშ-ს ვებსტერის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რის საფუძველზეც ვებსტერის უნივერსიტეტი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით, საქართველოში ბიზნესის, კომუნიკაციების, ტექნოლოგიებისა და სხვა დარგებში საკუთარ პროგრამებს განახორციელებს.

მემორანდუმის ფარგლებში, დაგეგმილია საქართველოში ვებსტერის უნივერსიტეტის ჩამოყალიბება, რაც საქართველოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას შეუწყობს ხელს. აშშ-სა და ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების მოზიდვა განათლების კომპლექსური რეფორმის პრიორიტეტია, რაც საქართველოს რეგიონის საგანმანათლებლო ჰაბად აქცევს.

აღსანიშნავია, რომ ვებსტერის უნივერსიტეტის პროგრამები მსოფლიოს ისეთ ქვეყნებში ხორციელდება, როგორებიცაა: ავსტრია, ჰოლანდია, შვეიცარია და საბერძნეთი.

თანამშრომლობის ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია საქართველოს უმაღლესი განათლების სექტორში, ქვეყნის ეკონომიკური ბაზრის საჭიროებებიდან გამომდინარე, სპეციალური პროგრამების შემუშავება და განვითარება; უმაღლესი განათლების სფეროს სხვადასხვა პროგრამის შემუშავებაში უცხოელი ექსპერტებისა და ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარება და სხვა.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ბატიაშვილმა** და ვებსტერის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, **ჯულიან შუსტერმა**.

შეხვედრა სამედიცინო უნივერსიტეტში

ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია EURAXESS-ში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებით შეხვედრები გრძელდება. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი **მიხეილ ბატიაშვილი** და „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ გენერალური დირექტორი **ზვიად გაბისონია** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს შეხვდნენ და ის რეალური პერსპექტივები გააცნეს, რაც ქართულ სამეცნიერო წრეებს ერთიან ევროპულ სივრცეში გაწევრიანებით გაუჩნდება.

მიხეილ ბატიაშვილის განცხადებით, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია რაც შეიძლება მეტი უნივერსიტეტი მოხვდეს ევროპულ სამეცნიერო სივრცეში. შესაბამისად, აუცილებელია დაინტერესებულმა მხარეებმა იცოდნენ ყველა ის მოთხოვნა და პირობა, რაც ამ მიმართულებით უნდა დააკმაყოფილონ.

„პირველი იანვრიდან ყველა ქართველი მეცნიერისთვის, უმაღლესი სასწავლებლისთვის და კვლევითი ინსტიტუტისთვის ერთიანი ევროპული სივრცე იხსნება, რომელიც თავისი ფონდებით უზარმაზარ რესურსს მოიცავს და, დაახლოებით, 2 მილიარდი ევროა ყოველწლიურად. ქართველმა მეცნიერებმა, ევროპელ მეცნიერებთან ერთად, უნდა აითვისონ რესურსი, რომელიც ერთიან ევროპულ სივრცეს აქვს“ – აღნიშნა მინისტრმა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი **ზურაბ ვადაჭკორია** ამბობს, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ევროპასთან ინტეგრაციის მიმართულებით განვითარებულ მოვლენებს ცოტა ხნის წინ ვერავინ წარმოიდგენდა. *„უკანასკნელი ნაბიჯი, რომელიც EURAXESS-ში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებით გადაიდგა, ძალიან დიდ შესაძლებლობებს აძლევს ქართველ მეცნიერებს, ევროპელ მეცნიერებთან კოოპერაციით, დიდ წარმატებებს მიაღწიონ“.*

„ეს ისტორიული დღეა საქართველოსა და ვებსტერის უნივერსიტეტისთვის. დღეს ჩაეყარა საფუძველი ძალიან წარმატებულ თანამშრომლობას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების ვებსტერის უნივერსიტეტს შორის. დღეიდან ჩვენ დავიწყებთ მუშაობას, რათა მივცეთ მაღალი ხარისხის ამერიკული განათლება არა მხოლოდ ქართველ, არამედ კავკასიის რეგიონის სხვა ქვეყნების ახალგაზრდებს. ჩვენი თანამშრომლობის შემდეგი ნაბიჯები საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში გულისხმობს ვებსტერის უნივერსიტეტის პროგრამების დანერგვას ბიზნესის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და კიბერ-უსაფრთხოების საკითხების შესახებ. ჩვენ ღია ვართ თანამშრომლობისთვის ყველა იმ პროგრამის განხორციელების საკითხებში, რომელიც ამ რეგიონის განვითარებისთვისაა საჭირო“ – განაცხადა ჯულიან შუსტერმა.

სასკოლო განათლების განვითარებისთვის

„სკოლის ლიდერობის ეროვნულმა კონკურსმა“ სტარტი აიღო

ლალი ჯელაძე

განათლების კოალიცია, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს წარმატებით განხორციელების შემდეგ, კიდევ ერთ მნიშვნელოვან კონკურსს იწყებს, ამჯერად, დირექტორებისთვის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად.

„სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსის“ მთავარი მიზანია საჯარო სკოლის პრესტიჟისა და ავტორიტეტის გაზრდის მხარდაჭერა, წარმატებული დირექტორების გამოვლენა და მათი საზოგადოებისათვის გაცნობა; სკოლის მართვის პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობა და სწავლა-სწავლების შედეგების გაუმჯობესებაზე მიმართული შიდა სასკოლო ძალისხმევის მხარდაჭერა საქართველოს საჯარო სკოლებში.

სკოლის ლიდერობის ეროვნულ კონკურსში მონაწილეობის მსურველი დირექტორების რეგისტრაცია ვებგვერდზე – www.efagеorgia.ge – უკვე დაიწყო და 16 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება. სამეტაპიანი კონკურსის პირობები საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება – გრანტრის მფლობელ დირექტორს, პრიზის სახით, 5000 ლარი გადაეცემა, ხოლო სკოლას სპეცპროექტის განსახორციელებლად – 30 000 ლარი; სპეციალური პრიზის მფლობელ დირექტორებს კი, პრიზის სახით – 2000-2000 ლარი. მათი სკოლების მხარდაჭერის ერთიანი ფონდი 25 000 ლარს შეადგენს და თანხის გადანაწილებაზე გადაწყვეტილებას კონკურსის საბჭო/ჟიური მიიღებს.

კონკურსანტთა შერჩევის სამეტაპიან პროცესს 17 კვალიფიციური წევრისგან დაკომპლექტებული საბჭო წარმართავს. ესენი არიან: განათლებისა და მართვის სპეციალისტები, პედაგოგები და მედიის წარმომადგენლები.

კონკურსის პირველ ეტაპზე, აპლიკაციები ტექნიკურად შემოწმდება, მეორე ეტაპისთვის ფინალისტები გამოვლინდებიან, ხოლო მესამე ეტაპზე – 2020 წლის 25 მაისს, სამი გამარჯვებული სკოლა დასახელდება.

კონკურსის მთავარი პარტნიორი უცვლელია – გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი, სხვა მხარდამჭერები კი, „თიბისი“ ბანკი, ტელეკომპანია „იმედი“, KPMG Georgia და მარკეტინგული კომპანია „4media“ არიან.

რატომ გადაწყვიტა კოალიციამ „სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსის“ დაარსება? – ამის შესახებ კოალიციის დირექტორი **გიორგი ჭანტურია** *ამბობს, რომ „ზოგადი განათლების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რგოლს სკოლის დირექტორები წარმოადგენენ. სწორედ ისინი განაპირობებენ და პირდაპირი გავლენა აქვთ როგორც მასწავლებლის შრომის ნაყოფიერებაზე, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე. შესაბამისად, მათი გაძლიერება და კარგი პრაქტიკების გავრცელება მნიშვნელოვანია სასკოლო განათლების განვითარებისთვის.*

ზოგადად გვინდა დავამკვიდროთ ტერმინი, რომ სკოლის დირექტორი, პირველ რიგში, საგანმანათლებლო ლიდერია. სკოლის განვითარება კი შეუძლებელია კარგი მასწავლებლის და საგანმანათლებლო ლიდერის გარეშე. როგორც ეროვნული ჯილდოს შემთხვევაში, ისევე ვაპირებთ, შევაფასოთ, გამოვარჩიოთ და გარკვეულწილად დავაფასოთ გამარჯვებული კონკურსანტები. თუმცა, ვფიქრობ, მიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენ, კონკურსის დასრულებით, არ ვწყვეტთ მათთან ურთიერთობას. დაგეგმილი გვაქვს, გავაგრძელოთ ამ სკოლებთან თანამშრომლობა – ვეცდებით, კარგი პრაქტიკები სისტემაში გავავრცელოთ. თანამშრომლობას გავაგრძელებთ, არა მხოლოდ მეორე ეტაპზე გადასულ და გამარჯვებულ სკოლებთან, არამედ, შეძლებისდაგვარად, ვეცდებით კონკურსის მონაწილე ყველა სკოლასთან ვითანამშრომლოთ. თუმცა, უფრო ინტენსიურ ურთიერთობას მაინც გასაუბრების შედეგად, მეორე ეტაპზე გადასულ და გამარჯვებულ სკოლებთან ვგეგმავთ. რამდენი სკოლა გადავა მეორე ეტაპზე, ჯერჯერობით, არ ვიცით, რადგან კონკრეტული კვოტა არ შეგვირჩევია, ეს დამოკიდებული იქნება განაცხადების რაოდენობაზე – რამდენი სკოლა ჩაერთვება კონკურსში.“

კონკურსანტები შეფასდებიან შემდეგი კრიტერიუმებით: ისტორია და მოტივაცია; სკოლის მართვა და განვითარება; სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარება; ინკლუზიური და პოზიტიური სასკოლო კლიმატის განვითარება; რესურსების განვითარება და მოზიდვა. კოალიციის დირექტორი ამბობს, რომ მნიშვნელოვანია დავინახოთ, როგორ აღიქვამს დირექტორი სკოლის კონტექსტს, როგორ ხდება სტრატეგიული დაგეგმარება, ჩართული არიან თუ არა მართვის პროცესში სხვადასხვა ჯგუფები; კომპლექსურად როგორ აფასებს დირექტორი მის მიერ განეულ საქმიანობას სკოლაში, როგორ წარმოაჩენს სკოლის გამოწვევებს – სუსტ და ძლიერ მხარეებს; როგორია დირექტორის ხედვა სკოლისთვის დამატებითი რესურსების მოზიდვის მიმართულებით. შეფასებისას ჟიური იმასაც მიაქცევს ყურადღებას, გამარჯვების შემთხვევაში, როგორ აპირებს სკოლა საპრიზო ფონდის გამოყენებას. რაც შეეხება მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ცხადია, ყურადღება მიექცევა, თუმცა, შერჩევისას, ეს არ იქნება ერთადერთი და გადამწყვეტი კრიტერიუმი. ასევე, მნიშვნელოვანი იქნება მოტივაციაც, რატომ შემოდის კონკრეტული აპლიკანტი კონკურსში.

ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით, საბჭო სკოლებს კომპლექსურად შეაფასებს, მეორე ეტაპზე გადასასვლელად შერჩეულ ჯგუფის წევრებთან ჩატარდება გასაუბრება, მოეწყობა ვორქშოფები კონკრეტული სკოლის თემატიკის მიმართულებით. პროცესში საერთაშორისო ექსპერტიც ჩაერთვება, თუმცა, მხოლოდ რეკომენდაციით შემოიფარგლება.

ჟიურის ერთ-ერთი წევრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **ნათია ანდღულაძე** *ამბობს, რომ პროექტი წინ წამოწევს სკოლაში წარმატებული საქმიანობის შესახებ მსჯელობას. „დაგვეხმარება სისტემის დონეზე დავაყენოთ, რა არის წარმატებული სკოლა და კარგი დირექტორი, ხელს შეუწყობს შესაძლებლობის შექმნას, რომ ამ საკითხზე მსჯელობა უფრო განვითარდეს.“*

როგორი უნდა იყოს წარმატებული სკოლა და საგანმანათლებლო ლიდერი? ჟიურის წევრი მიიჩნევს, რომ: „ბევრი კვლევა არსებობს და ბევრ ქვეყანას აქვს ჩამოყალიბებული, რა არის კარგი სკოლის სტანდარტი. ჩვენ, ჯერჯერობით, ამ მიმართულებით ცოტა გვიჭირს, სისტემაში ბევრი ხელშემშლელი მექანიზმია, რომ სკოლა კონცენტრირდეს ყველაზე მნიშვნელოვანზე – ბავშვის კეთილდღეობაზე, სწავლა სწავლების ხარისხსა და მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე. სამწუხაროდ, სხვა რამეზეა აქცენტი გადატანილი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სკოლის, როგორც მთლიანი ორგანიზაციის და არა ერთეული პედაგოგების, არამედ უმრავლესობის ძალისხმევა მიმართული იყოს უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე. სკოლას უნდა შეეძლოს იმის წარმოჩენა, რომ კონკრეტული მიმართლებით ის საუკეთესოა. თუნდაც იმით, რომ სიახლეს ნერგავს და მერე ავითარებს ამ სიახლეს. ეს შეიძლება ეხებოდეს ბავშვების ქცევას, სპორტულ საქმიანობას – მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას ან ნებისმიერ მიმართულებას, რომელიც ეროვნულ მიზნებს უკავშირდება. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები რაღაცნაირად უნდა დავაკავშიროთ სკოლის საქმიანობასთან. დირექტორი მხოლოდ იმაზე კი არ უნდა იყოს კონცენტრირებული, რომ რაიმე ტიპის იურიდიული ან ტექნიკური (ბიუროკრატიული) შეცდომა არ გაეპაროს, არამედ მაქსიმალურად ორიენტირებული – ყოველდღიურად როგორ დაეხმაროს მასწავლებელს. მთლიანობაში კი, სკოლის კოლექტივი საერთო იდეების გარშემო უნდა გაერთიანდეს, იდეების, რომელიც მკაფიოდ უკავშირდება ბავშვის კეთილდღეობას.

პროექტის ფარგლებში შემუშავებული შეფასების კრიტერიუმები, ვფიქრობ, სწორედ ასეთ მიზნებს უკავშირდება. შემდეგ კრიტერიუმებს თანდათან განვავითარებთ და შევქმნით საფუძველს, რომ უფრო მასშტაბურად დაინერგოს. შეიქმნება მინი-მოდელი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, მთლიანობაში გადავხედოთ სკოლის ანგარიშვალდებულების სისტემას, დირექტორის შერჩევა/დაწინაურებას და ა.შ.“

პროექტის პარტნიორი უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე **ნინო დობორჯგინიძე** ამბობს, რომ კონკურსი საუკეთესო პრეცედენტს შექმნის ისევე, როგორც ეს მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს შემთხვევაში მოხდა. რაც შეეხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩართულობას, ამბობს, რომ მსგავსი ტიპის სკოლის საგანმანათლებლო პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისთვის, რადგან უნივერსიტეტის წარმატება როგორც სწავლებაში, ისე კვლევაში უშუალოდ სასკოლო სივრცესთანაა მიბმული.

„განათლების კოალიციის და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ წამოწყებულ ორივე მნიშვნელოვან პროექტში დიდი ინტერესით ვართ ჩართული. პირველი კონკურსი მიზნად ისახავს მასწავლებლის, როგორც ღირებულების, შეფასებასა და დაფასებას ჩვენს ქვეყანაში. გარკვეულ პოპულარიზებას უწევს, რომ ბევრი კარგი სპეციალისტი წავიდეს სკოლაში. რაც შეეხება სკოლის ლიდერების კონკურსს, ეს არის ახალი სივრცის შექმნა და ჩვენ მაქსიმალურად დავეხმარებით ექსპერტული ცოდნით თუ გამოცდილებით. ჩვენთვის ეს ერთგვარი გარანტი იქნება, რომ სწავლებისა და კვლევის დონეზე მოვახერხოთ ხარისხის აწევა, იმიტომ, რომ ამ ორ სისტემას შორის წყვეტა არ არსებობს. უფრო მეტიც, თაობებსა და ამ სისტემებს შორის უწყვეტი მემკვიდრეობითი კავშირი უნდა იყოს. თანამშრომლობისთვის ყოველთვის მზად ვართ. რაც მთავარია, კონკურსი შექმნის პრეცედენტებს ისევე, როგორც მასწავლებლის ჯილდოს შემთხვევაში მოხდა – რომ ჩვენ გვერდით, ერთი პატარა სოფლის სკოლაში ასწავლის X ლადო აფხაზავა და Y გიორგი ჭაუჭიძე ან ნებისმიერი სხვა, რომელსაც შეუძლია ადგილზე შეცვალოს გარემო, თითქმის მოუმზადებელი წინაპირობის გარეშე. ეს ყველა მასწავლებლისთვის არის დიდი იმედი და გამოწვევა, ყველა სკოლა და კლასი იმსახურებს სწორედ ისეთ მასწავლებელს, რომელიც შეუძლებელს შეძლებს.“

„სკოლის ლიდერობის ეროვნულმა კონკურსმა“ სტარტი აიღო და რეგისტრაცია გამოცხადდა, თუმცა, იქცევა თუ არა ის ტრადიციულ ყოველწლიურ კონკურსად, მაინც იმაზეა დამოკიდებული, როგორ ჩაივლის წლევანდელი, ანუ პირველი კონკურსი.

ახალი ამბები

ფაზისის უცნობი ადგილმდებარეობის კვალზე

ანტიკური ფაზისის ზუსტი ადგილის განსაზღვრაში იაპონელი მეცნიერები ჩაერთვებიან და, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგებთან ერთად, კობეს (იაპონია) უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც იმუშავებენ. ამ საკითხთან დაკავშირებით, თსუ-ს რექტორი **გიორგი შარვაშიძე** კობეს უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს, პროფესორ **ჰიროკო მასუმოტოს** და ინჟინერიისა და ურბანული უსაფრთხოების კვლევითი ცენტრის პროფესორს, **სატორუ ოიშის** შეხვდა. მიმდინარე წელს იწყება თანამშრომლობა იაპონიის კოსმოსური კვლევის ლაბორატორიასთან (JAXA – Japan Aerospace Exploration Agency) და იაპონიის უმსხვილეს მრავალდარგოვან ინსტიტუტთან (RIKEN).

თსუ-ს პროფესორთან, **ვახტანგ ლიჩელთან** ერთად, დაგეგმილია ინტერნაციონალური კვლევითი ჯგუფის პირველი სადაზვერვო გასვლა კოლხეთში პონტონური ტიპის ნავით, პალიასტომის ტბასა და მის შენაკად მდინარე ფიჩორში, ნაკრძალის ტერიტორიის დასაზვერად. *„ჩვენ დავიწყეთ პროექტის განხორციელება კობეს უნივერსიტეტთან ერთად. პირველ რიგში, ჩატარდება გეოლოგიური, ჰიდრომორფოლოგიური კვლევები, რომლის საბოლოო მიზანია ძვ.წ. პირველ ათასწლეულში პალეოკლიმატური ცვლილებების დადგენა. ეს ხელს შეუწყობს იმ პრობლემის გადაწყვეტას, რაც უკვე თითქმის 200 წელია აწუხებს არა მხოლოდ ქართულ სამეცნიერო წრეებს – კოლხეთის ყველაზე მდიდარი და ყველაზე დიდი ქალაქის, ფაზისის, ადგილმდებარეობის საკითხი, რაც დღემდე გადაუწყვეტელია და რის შესახებაც 12 განსხვავებული მოსაზრება არსებობს. პირველ რიგში, ჩასატარებელია მაღალტექნოლოგიური სამუშაოები, რისთვისაც გამოყენებული იქნება ის თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები, რასაც კობეს უნივერსიტეტი ფლობს,“* – განაცხადა ვახტანგ ლიჩელმა.

„ჩვენ განვაახლებთ ძველი ისტორიული ქალაქის, ფაზისის, ადგილმდებარეობის ძიებას, რისთვისაც შევეცდებით გავაერთიანოთ სხვადასხვა დისციპლინები და გამოვიყენოთ ახალი ტექნოლოგიები. ძალიან სასიამოვნოა ქართველ არქეოლოგებთან თანამშრომლობა. უძველესი დროიდან, მნიშვნელოვანია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კომუნიკაცია,“ – აღნიშნა პროფესორმა სატორუ ოიშიმ.



პროექტი ძველი ბერძნული კოლონიის, კოლხეთის უდიდესი და ყველაზე განვითარებული ქალაქის, ფაზისის, დღემდე უცნობი ადგილმდებარეობის აღმოჩენას ეხება. მიღებულია გადაწყვეტილება პროექტის განხორციელების ამსახველი დოკუმენტური ფილმის გადაღების თაობაზე.

ინკლუზიური თეატრი

ჩვენ დიდი საქმეების კეთება შეგვიძლია

ლალი თვალაბეიშვილი

„ირა კოხრეიძის ინკლუზიური თეატრი“ თბილისში 2015 წელს დაარსდა. დამფუძნებლები არიან **ირა კოხრეიძე** – რეჟისორი, ხელოვნებათმცოდნე, ქორეოგრაფი და **გიორგი მიქაბერიძე** – მხატვარი, ფსიქოლოგი, მუსიკოსი. დასში გაერთიანებულია 25 ადამიანი, რომელთა შორის 15-მდე მსახიობი სპეციალური საჭიროების მქონე პირია (დაუნის სინდრომი, აუტისტური სპექტრი, უსინათლო, თალასემია და ა.შ.), მათი ასაკი 14 დან 30 წლამდეა, ასევე, დასში არიან ტიპური განვითარების მსახიობები და ხელოვანები.

თეატრის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელებს ინკლუზიასთან შეხება დასის შექმნამდეც ჰქონდათ: ირა კოხრეიძემ, პირველად, ინკლუზიური გამოცდილება 2013 წელს მიიღო, როდესაც, ერთ-ერთი ორგანიზაციის მოწვევით, რეჟისორის რანგში, ინკლუზიურ სპექტაკლზე მუშაობდა; გიორგი მიქაბერიძის ინკლუზიური გამოცდილება 2004 წელს იწყება, ამერიკის შეერთებულ შტატებში (ნიუ-იორკის შტატში), სადაც ის ინკლუზიურ/ინტეგრირებულ საზაფხულო ბანაკში მუშაობდა კოორდინატორის პოზიციაზე.

დასის რეპერტუარში უკვე 4 საავტორო სპექტაკლია: „მოგზაურობა“, „ლეგენდა მედეაზე“, „სიზმარი ქვეცნობიერ სამყაროზე“ და „კონტაქტი“, რომელთა პრემიერა რუსთაველის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა.

სპექტაკლი „კონტაქტი“ დასის ბოლო ნამუშევარია, მისი პრემიერა, 2019 წლის მარტში, რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე შედგა. ამ სპექტაკლმა ქართულ ინკლუზიურ ხელოვნებას პირველი საერთაშორისო აღიარება და წარმატება მოუტანა – „კონტაქტი“ ჩინეთის დრამატული ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის პროგრამაში მოხვდა. დასის საფესტივალო გასტროლი ჩინეთში ძალზე წარმატებული აღმოჩნდა. ივლისში, ფესტივალის ფარგლებში, სპექტაკლი ქალაქ პეკინში ორჯერ გათამაშდა, რაც ქართული ინკლუზიური ხელოვნების პირველი დიდი აღიარება და გამარჯვებაა.

„აღსანიშნავია, რომ სპექტაკლი „კონტაქტი“ მოიწვიეს საქართველოს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე „საჩუქარი“, სადაც ჩვენი დასი ევროპის თეატრალური და თანამედროვე ხელოვნების წამყვანი ვარსკვლავების გვერდით წარდგება, რაც ინკლუზიური ხელოვნების სრულფასოვან ხელოვნებაში ინტეგრაციისთვის დიდი წინგადადგმული ნაბიჯია, – ამბობს ირა კოხრეიძე, – *სპექტაკლი მოგვითხრობს გზაზე, რომელსაც სული დაბადებამდე გადის. დადგმაში ნაჩვენებია მთავარი გმირების სხვადასხვა განზომილებაში გადაადგილება, მათი შეხვედრა უცნაურ არსებებთან, რაც დაბადებისთვის მზადების პროცესს ასახავს. მთავარი გმირები ეძებენ კარს, რომელიც მათ დედამიწასთან დაუკავშირებს. ყველაფერი სულის განსხეულებით მთავრდება და გვახსენებს, რომ ყოველი ადამიანი მნიშვნელოვანი და უნიკალური დანიშნულებით ევლინება მატერიალურ სამყაროს.“*

„ირა კოხრეიძის ინკლუზიური თეატრის“ მიზანია ინკლუზიური ხელოვნების სტანდარტების ამაღლება და განვითარება საქართველოში. გიორგი მიქაბერიძის აზრით: *„ბოლო წლებში, ერთი მხრივ, ინკლუზიური ღონისძიებების და ჩართულობის ფაქტები მომრავლდა, რაც, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს, გარკვეული მიზეზების გამო, ინკლუზიური პროდუქტის ხარისხს ნაკლები ყურადღება ექცევა როგორც მაყურებლის, ასევე ორგანიზატორების მხრიდან. აქედან გამომდინარე, დაარსების დღიდან, ჩვენი თეატრის მიზანია, ვაჩვენოთ საზოგადოებას, რომ შშმ პირთა მონაწილეობით შესაძლებელია მაღალი სტანდარტების თანამედროვე ხელოვნების პროდუქტის შექმნა. მიგვაჩნია, რომ ასეთი მიდგომა ბევრ იმ სტერეოტიპსა და მოდელს ამსხვრევს, რაც, სამწუხაროდ, ინკლუზიაშიც დამკვიდრდა. ასეთი მიდგომა, ფასადური ინტეგრაციის ნაცვლად, რეალური ინტეგრაციის საშუალებას გვაძლევს, რაც შშმ პირებს და მთლიანად ამ სფეროს სხვა საფეხურზე ასვლას და განვითარებას უწყობს ხელს.“*

თეატრის რეპერტუარი საბავშვო არ არის, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური თემებითაა გაჯერებული, რაც ინკლუზიური ხელოვნების მიმართ ჩვეულ მიდგომას ამსხვრევს. *„უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მიზანი მართლდება. ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მოპოვებული წარმატება და აღიარება უფრო მეტის გაკეთებისა და მიღწევის სტიმულს გვიჩენს როგორც ხელმძღვანელებს, ასევე დასის თითოეულ წევრს, რადგან ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ერთად გავდივართ ამ საინტერესო გზას.* – ამბობს ირა და სამუშაო პროცესზეც საუბრობს, – *დასში მუშაობის პროცესი მრავალფეროვანია – სამსახიობო ოსტატობის, ქორეოგრაფიის, მეტყველების, დრამისა და არტთერაპიის გარდა, რაც ინკლუზიაში ჩვეულ სტანდარტადაა ქცეული, ასევე გამოიყენება სხვადასხვა არასტანდარტული ინდივიდუალური მიდგომები. შედეგად ვიღებთ იმას, რომ დასის წევრ შშმ პირებს, დადებით ფსიქოემოციურ ფონთან ერთად, უმუშავდებათ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, გუნდური მუშაობის პრინციპები, უვითარდებათ პროფესიონალური მიდგომა საქმის მიმართ და ამ ყველაფრის მეშვეობით ხდება შესაძლებელი მივიღოთ საბოლოო შედეგი, რასაც მაღალი ხარისხის თეატრალური პროდუქტი ჰქვია და რაც, საბოლოო ჯამში, თეატრალური ხელოვნების ახალ მიმართულებას აყალიბებს ჩვენს ქვეყანაში.“*

გიორგის მიაჩნია, რომ ამ ყველაფრის ფონზე, რა თქმა უნდა, არსებობს ზოგადად ყველასთვის ნაცნობი ბევრი პრობლემა ინკლუზიაში, კერძოდ, ინკლუზიური ხელოვნების სფეროში, რომელიც მათ თეატრსაც ეხება. პრობლემები კი გამომდინარეობს იქიდან, რომ ინკლუზიურ ხელოვნებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. *„ჯერჯერობით, ინკლუზიური ხელოვნება განვითარების საწყის ეტაპზეა და ბევრი ამ დარგს შესაბამისი სერიოზულობით არ აღიქვამს, ეს ბუნებრივიცაა იმის ფონზე, როცა სამწუხარო სტერეოტიპი დამკვიდრდა – ძირითადად, ინკლუზიური ხელოვნება საქართველოში ზედაპირული ღონისძიებებით, შშმ პირთა პროცესში ჩართულობის გაპიარებითა და ამაზე ბევრი საუბრით შემოიფარგლება. შესაბამისად, სირთულეები ბევრია მათთვის, ვინც ცდილობს, ჭეშმარიტ ხელოვნებას ემსახუროს და ამ უნიკალური ადამიანებისგან შემდგარი ინკლუზიური თეატრის ხარისხის და სტანდარტების განვითარებაზე აკეთებს აქცენტს. ჩვენ არ გვიყვარს პრობლემებზე ბევრი საუბარი და მიგვაჩნია, რომ ბევრი ლაპარაკის და სიტყვების ნაცვლად, სჯობს მეტ ადამიანს ვაჩვენოთ ის შედეგი, ხარისხიანი პროდუქტი (სპექტაკლი), რომელიც სიყვარულით, კეთილსინდისიერი ინტეგრირებული მუშაობით მიიღწევა. მხოლოდ მაშინ იცვლება ყველაფერი უკეთესობისკენ და ყველა პრობლემა ნელნელა გვარდება.“*

სირთულეების მიუხედავად, ირა და გიორგი ბედნიერები არიან, რომ მათი თეატრი წარმატებით ვითარდება და ამ საინტერესო, ჯადოსნური პროცესის უშუალო მონაწილეები არიან, თავიანთ გუნდთან ერთად.

საინტერესოა, რას ფიქრობენ „ირა კოხრეიძის ინკლუზიური თეატრის“ დასის წევრები, რას ნიშნავს მათთვის ეს თეატრი, რას გრძნობენ მუშაობის პროცესში და, ზოგადად, რაში ეხმარება მათ თეატრალური ხელოვნება.

მარიამ კაპანაძე, შშმ მსახიობი, მომღერალი, 28 წლის: *„ორი წელია, რაც ამ დასს შემოვუერთდი. ყველაზე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი ჩემთვის ის იყო, რომ აქ ყველაფერი ძალიან განსხვავებული და უჩვეულოა, სხვა განზომილებაა თითქოს. სხვადასხვა ინკლუზიურ ჯგუფებთან თუ ორგანიზაციებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება მაქვს და პირველი, რაც ამ თეატრში მოსვლისას თავიდანვე თვალში საცემი იყო ჩემთვის, ის არის, რომ ხელმძღვანელები ძალიან სათუთად და ინდივიდუალური მიდგომით ურთიერთობენ დასის თითოეულ წევრთან. ეს საოცრად კომფორტულ და თავისუფალ გარემოს ქმნის, სადაც ყოველ ჩვენგანს, დიდსა თუ პატარას, პირველ რიგში – შშმ პირებს, საშუალება გვეძლევა გავთავისუფლდეთ იმისგან, რაც გვაწუხებს, გამოვხატოთ სცენაზე ჩვენი ემოცია და ინდივიდუალიზმი. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ხელმძღვანელების მიერ არჩეული რეპერტუარი და ხედვა საშუალებას გვაძლევს, გავაჟღეროთ ჩვენი სათქმელი, გამოვხატოთ ჩვენი სამყარო და ჩვენი სათქმელი მაყურებლამდე სპექტაკლის სახით მივიტანოთ. ვთვლი, რომ ძალიან გამიმართლა ამ ჯადოსნურ ადგილას რომ მოვხვდი და ძალიან დიდი ბედნიერება იქნება, თუ კიდევ დიდხანს ვიქნები „ირა კოხრეიძის ინკლუზიური თეატრის“ წევრი.“*

მარიამ იორდანაშვილი, შშმ მსახიობი,19 წლის: *„ყოველ დილით, როცა ვიღვიძებ, ერთი სული მაქვს, როდის მივალ რეპეტიციაზე და ვნახავ ჩემს მეგობრებს. ძალიან მიყვარს ეს ადამიანები. ისეთი სასიამოვნო გარემოა, მეგობრული და ასევე საქმიანი. ჩვენი რეჟისორები ძალიან გვეხმარებიან სირთულეების გადალახვაში, ამიტომ ძალიან ადვილად გამოგვდის ყველაფერი, ეს გვეხმარება გავთავისუფლდეთ კომპლექსებისგან, შიშებისგან და ლაღად ვგრძობდეთ თავს სცენაზე. აქ ყველა ერთმანეთს ვეხმარებით და მხარში ვუდგავართ როგორც მუშაობის პროცესში, ასევე მის გარეთაც. ყოველი ახალი სპექტაკლი ჩემთვის ახალი სამყაროს გახსნაა. ვგრძნობ, რომ ძალიან შევიცვალე და მე ეს მომწონს.*

ძალიან გამიხარდა, როცა ჩვენი სპექტაკლით ჩინეთში დაინტერესდნენ და თეატრალურ ფესტივალზე მიგვიწვიეს, ემოციებით დატვირთული ჩამოვედი გასტროლიდან, კიდევ დიდხანს მემახსოვრება ეს მოგზაურობა, მადლობა ყველას ამისათვის. ჩვენს თეატრს კიდევ ბევრ წარმატებას ვუსურვებ!“

გიორგი პოლოლიკაშვილი, შშმ მსახიობი, 17 წლის: *„მე ვარ მსახიობი და ასევე წიგნიც დავწერე, მწერალიც ვარ. მე უკვე სამი როლი მაქვს ნათამაშები. ბოლო სპექტაკლში გამომძიებლის როლი მაქვს. ყოველდღე ვმუშაობ ჩემს როლზე, რომ პროფესიონალი გავხდე. რუსთაველის თეატრში ვითამაშეთ ბევრჯერ, ზაფხულში ვიყავით ჩინეთში, ძალიან მაგარი იყო. ძალიან მიხარია, რომ ირა და გიორგი ახალ სპექტაკლშიც მომცემენ როლს. მე აქ მყავს ბევრი მეგობარი და ყველა მათგანი მიყვარს. ყველაზე მეტად კი მიყვარს, როცა „პაკლონზე“ გავდივართ და ზღვა აპლოდისმენტები და „ბრავო“ ისმის სპექტაკლის ბოლოს. ბედნიერი ვარ ამ დროს, ძალიან ბედნიერი. მიხარია, რომ ადამიანებს მოსწონთ, როგორ ვთამაშობ. ძალიან მიხარია. ბედნიერებაა სცენაზე დგომა! „ირა კოხრეიძის თეატრი“ მაგარია!“*

დორა ანდრე, ტიპური განვითარების მსახიობი, 18 წლის: *„გაოცებული ვარ ამ ახალგაზრდების შესაძლებლობებით. ისეთი მონდომებულები და ნიჭიერები არიან, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ყოველ როლს და დღითი დღე იზრდებიან. უბედნიერესი ვარ, ამ არაჩვეულებრივ ადამიანებთან ერთად მუშაობის და მათთან ურთიერთობის საშუალება რომ მომეცა, ეს საოცარი გამოცდილებაა ჩემთვის. მათი შესაძლებლობები მართლა უსაზღვროა და ჩვენ ყველა ერთად, ინტეგრირებული გუნდით, ვაჩვენებთ საზოგადოებას, რომ დიდი საქმეების კეთება შეგვიძლია! მე არ ვიცი ქართული ენა და უმრავლესობა დასში ჩემს ენაზე არ საუბრობს, ამის მიუხედავად, ძალიან გახსნილი და გულწრფელი კავშირი გვაქვს ერთმანეთთან. ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ, ვაკეთებთ დიდ ხელოვნებას და მომავალშიც გავაგრძელებთ მაყურებლის გაოცებას. მადლობა ყველაფრისთვის, ამ დასმა ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. არც კი ვიცი როგორ გადავუხადო მადლობა ირას და გიორგის ამ ბედნიერებისთვის. მიყვარხართ.“*

„დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო აღტაცებულად ამ დასის და ხელმძღვანელების შესახებ. საოცარ საქმეს აკეთებენ. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს შვილებს ასეთ საოცარ ადამიანებთან უწევთ ურთიერთობა მშვიდ, კულტურულ ატმოსფეროში, ეს დიდი ფუფუნებაა ჩვენთვის, – ამბობს ერთ-ერთი მსახიობის მშობელი – *ამდენი წელი ვაკვირდები და ერთი ხმამაღალი სიტყვა ან საუბარი არ მსმენია რეპეტიციის დროს, სრული ჰარმონია და სიმშვიდე სუფევს. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უნდა ვაღიარო, რომ დასმა ჩვენს შვილებზე ძალიან დადებითი გავლენა მოახდინა, სოციალიზაციის და თვითშეფასების, მეტყველების და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების კუთხით, ამ მხრივ საგრძნობი პროგრესი შეინიშნება ბავშვებში, თანაც ასეთი ჩამოყალიბებული და ორიგინალური სპექტაკლების შექმნაც თუ იყო შესაძლებელი ინკლუზიაში, ესეც ბევრს არ წარმოგვედგინა. ვფიქრობ, ამ დასს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფოს მხრიდან, რადგან ეს პირველი ინტეგრირებული დასია ჩვენი ქვეყნიდან, რომლის ნამუშევარმაც უცხოური აღიარება მოიპოვა. მადლობას ვუხდი ირას და გიორგის უანგარო შრომისთვის და ჩვენი შვილების მიმართ გაწეული ღვაწლისთვის.“*

❖ ❖ ❖

ჩვენც ვისურვებდით, რომ სახელმწიფომ მეტი ყურადღება მიაქციოს თეატრს, რომელმაც შშმ მსახიობების ცხოვრება რადიკალურად შეცვალა და დაამტკიცა, რომ შშმ პირთა მონაწილეობით შესაძლებელია მაღალი სტანდარტის თანამედროვე ხელოვნების პროდუქტის შექმნა. თეატრის ხელმძღვანელთა მიდგომა დღეს დამკვიდრებულ ბევრ სტერეოტიპსა და მოდელს ამსხვრევს და ამ გზით ცდილობს ამ ადამიანების ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლას. დასის წევრების შთაბეჭდილებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თეატრში მოსვლის შემდეგ, მათი ცხოვრება გაცილებით საინტერესო, ხალისიანი და სრულფასოვანი გახდა. *„ვთვლი, რომ ძალიან გამიმართლა, ამ ჯადოსნურ ადგილას რომ მოვხვდი“* – ამბობს მარიამ კაპანაძე; *„ვგრძნობ, რომ ძალიან შევიცვალე და მე ეს მომწონს“* – ეს მარიამ იორდანაშვილის სიტყვებია; გიორგი პოლოლიკაშვილი კი აცხადებს, რომ *„ბედნიერებაა სცენაზე დგომა!“*; ამ დასმა დორა ანდრეს ცხოვრებაც რადიკალურად შეცვალა, *„მიყვარხართ“* – ასე მიმართავს ირას და გიორგის. ეს გულწრფელი სიტყვები, ალბათ, ყველაზე უკეთ მეტყველებს „ირა კოხრეიძის თეატრის“ მნიშვნელობაზე, ამავდროულად, ყველაზე მაღალი შეფასებაა იმ უდიდესი შრომის, რაც ირა კოხრეიძემ და გიორგი მიქაბერიძემ, თეატრის დაფუძნების დღიდან დღემდე, გასწიეს. *„ირა კოხრეიძის თეატრი“ მაგარია!“*

ՍԱՄՈՒԴԵԼՈՒ ԳԱԿՎԵՏՈՒՄԸ

Ինչպե՞ս հաղթահարենք խտրականությունը

ԳՈՏԱՅԱԶՈՅԹ ՆԻՆՈՒՇՄԻՆԴԻՆ ՄՈՒՆԻՑԻՊԱԼԻՏԵՏԻ ԳԱՆՁԻՆ №2 ՍԱՀԱՐՈՎ ՍԿՈԼԻՆ ՄԱՍՆԱՎԼԵԳԼԻՆ, ՆԵՂԵՏԱՐ ԳԱՐԻԲՅԱՆԻՆ ՄԻՈՐ, ՄԵ-10 ԴԱՍԱՐԱՆՈՒՄ, ՍԱՄՈՒՂԱԼԱՂՈՒ ԳԱՆԱՏԼԵԳԱՅԻՆ ՀԱՏԱՐԵԳՈՒԼԻ ԳԱԿՎԵՏՈՒՄԻ ԳԵԳՄԱՆ, ԹԵՄԱ – „ՈՐՊԵՍ ԴԱՍԱՎԱՐՈՒՄ ԴԻՍԿՐԻՄԻՆԱՑԻԱ? ՈՐ ԱՐԻՆ ԳՈՒԼԻՆԳԻՆ?“.

Դասի պլան

1.	**Դպրոց**	Նինոծմինդայի շրջան, Գանձայի թիվ 2 հանրային դպրոց
2.	**Ուսուցիչ**	Նեկտար Գարիբյան
3.	**Ուսուցման մակարդակը**	Բազային
4.	**Դասի անցկացման ամսաթիվը**	7.05.2019թ
5.	**Դասարան**	X
6	**Աշակերտների թիվը**	21
7.	**Սահմանափակ կարողություններ ունեցող աշակերտների թիվը**	0
8.	**Առարկա**	Քաղաքացիական կրթություն
9.	**Դասի տևողությունը**	45 րոպե
10.	**Թեմա**	Ինչպե՞ս հաղթահարենք խտրականությունը: Ի՞նչ է բուլինգը
11.	**Դասի նպատակը**	Աշակերտները ծանոթանում են թե ինչ է իրենից ներկայացնում բուլինգը և թե ինչպես կարելի է հաղթահարել խտրականության այս տեսակը
12.	**Ազգային ուսումնական ստանդարտները**	X.2. Աշակերտը կարողանում է վերլուծել մարդկային արժեքների էությունը: X.5. Աշակերտը կարողանում է մտածել, մասնակցել և համագործակցել սոցիալական հիմնախնդիրները լուծելու համար
13.	**Աշակերտների նախնական գիտելիքները և կարողությունները**	Աշակերտները կարողանում են տարբերել խտրականության տեսակները, կարողանում են բացատրել և վերլուծել մարդկային փոխհարաբերությունները և գնահատել տարբեր իրավիճակներ
14.	**Գնահատում և ինքնագնահատում**	Աշակերտները գնահատվում են զարգացնող գնահատման տեսքով

Ակտիվության նկարագրությունը	**Կիրառված մեթոդները**	**Կազմակերպման ձևը**	**Ուսումնական ռեսուրսները**	**Ժամանակ**
1. Ուսուցիչը ստուգում է աշակերտների ներկայությունը դասի պրոցեսին, նպատակ ունենալով բարձրացնել նրանց մոտիվացիան ծանոթացնում է դասի թեմայի եւ ընթացքի հետ:	Պարզաբանում	Ընդհանուր դասարան	Դասամատյան	5 րոպե
2. Ուսուցիչը ստուգում է աշակերտների սկզբնական գիտելիքները: Լրացնում են «Խտրականութ- յունը եւ նրա տեսակները» սխեման	Հարց եւ պատասխան	Ընդհանուր դասարան	Գրատախտակ, կավիճ, քաղ. կրթության օժանդակ ձեռնարկ IX-XII դասարանների համար	5 րոպե
3. Ուսուցիչը հանձնարարում է աշակերտներին դիտել «Բուլինգը որպես դրոցական խտրականության դրսևորման ձև» խորագրով տեսանյութը	Տեսանյութի դիտում և քննարկում	Ընդհանուր դասարան	Համակարգիչ	10 րոպե
4. Ուսուցիչը աշակերտներին բաժանում է խմբերի եւ հանձնարարում նրանց ընտրել բուլինգի տեսակներից մեկը և պատրաստվել շնորհանդեսի:	Շնորհանդես «Բուլինգը և նրա տեսակները»	Խմբային	Թուղթ, մարկերներ մատիտներ, գունավոր թղթեր, կպչուն ժապավեններ, քաղաքացիական կրթության օժանդակ ձեռնարկ IX-XII դասարանների համար, «Ինչպես դառնամ ակտիվ քաղաքացի»	15 րոպե
5. Ուսուցիչը հանձնարարում է աշակերտներին մտածել բուլինգի առաջացման պատճառների մասին և որոշել բուլինգի հաղթահարման հնարավոր ուղիները: Ստեղծում են պատի թերթ «Ինչ է անհարաժեշտ մեզ բուլինգը հաղթահարելու համար»	Հարց ու պատասխան	Ընդհանուր դասարան	Թերթ, մարկերներ, կպչուն ժապավեններ, գունավոր թղթեր	5 րոպե
6. Ուսուցիչը հանձնարարում է աշակերտներին գտնել բուլինգի օրինակներ իրենց դպրոցում և որոշել դրանց հաղթահարման հնարավոր ուղիները:	Տնային առաջադրանքի հանձնարարում	Ընդհանուր դասարան	Տետր, գրիչ	5 րոպե

Նեկտար Գարիբյան
Նինոծմինդայի շրջան,
Գանձայի թիվ 2 հանրային դպրոց

ԴԱՄԽՄԱՐԵՂ ԼԻՏԵՐԱՏՈՒՐԱ:
• „Როგორ გავხდე აქტიური მოქალაქე“, სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო IX-XII კლასებისათვის, ავტორები: ნინო ბესელია, ნინო ბოკერია, მაკა კორძაძე. თემა 3, გაკვეთილი 4, გვერდი 53.

გამოცდილება

როგორ ჩავატაროთ ინტეგრირებული გაკვეთილი პირველ კლასში თვალსაჩინოების გამოყენებით

დღეს ძალზე აქტუალურია სხვადასხვა საგნების ინტეგრირებული სწავლება. ის ახდენს ცალკეულ დისციპლინებში მიღებული ცოდნის სინთეზს. ინტეგრირებული გაკვეთილებით მოსწავლე იძენს საუკეთესო გამოცდილებას, რომელსაც დამოუკიდებლად მუშაობის დროს შედეგიანად გამოიყენებს. ის სწავლობს ერთმანეთთან როგორ უნდა დაეკავშიროს სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნა, ერთი საგნის წინარე ცოდნა, როგორ გამოიყენოს მეორე საგანში ასათვისებელი მასალის საფუძვლად, რაც გაუმარტივებს სწავლების პროცესს. მოსწავლე მიხვდება, რომ ადვილად ითვისებს ახალ მასალას და მოტივირებული უფრო მეტი მონდომებით შეუდგება ცოდნის შენებას. დიდი მნიშვნელობა აქვს, ასევე, თვალსაჩინოების გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში.

გაკვეთილი, რომელიც პირველ კლასში ჩავატარე, გახლავთ სწორედ მოდელი ისეთი ინტეგრირებული სწავლებისა, როდესაც ერთ საგანში მიღებული ცოდნა ეხმარება მოსწავლეს წარმატებით დაძლიოს მეორე საგანში მისთვის რთულად გასაგები მასალა. ინტეგრირებულ საგნებს წარმოადგენდნენ ქართული ენა და ლიტერატურა და მათემატიკა.

სასწავლო საგნების მთავარი შემაკავშირებელი რგოლი გაკვეთილის თემა გახლავთ. სახელმძღვანელოებში იშვიათად მოიძებნება ისეთი საკითხი, რომელიც მისი მრავალმხრივი შესწავლის საშუალებას იძლევა. რასაც ვერ ვიტყვი კონკრეტულ შემთხვევაში. როცა იაკობ გოგებაშვილის მოთხრობას „თავსატეხი“ გავეცანი, მივხვდი, რომ ეს იყო საუკეთესო მასალა ინტეგრირებული გაკვეთილისთვის. მინდა ჩემი გამოცდილება გაგიზიაროთ ამ გაკვეთილის შესახებ.

გაკვეთილის თემა	თავსატეხი (ავტორი – იაკობ გოგებაშვილი)
საგანი/ ინტეგრირებული საგნები	ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა
მასწავლებელი	ნინო ვაშალომიძე
სწავლების საფეხური/კლასი	დაწყებითი საფეხური/I კლასი
მოსწავლეთა პროფილი	კლასში არის 12 მოსწავლე; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე კლასში არ არის.
სასწავლო მიზნები	მოსწავლემ შეძლოს: • ტექსტის წაკითხვა და შინაარსის გადმოცემა; • გაიმდიდროს ლექსიკური მარაგი; • მათემატიკური ცნებების („-ით“ მეტი, „-ით“ ნაკლები, ტოლი, ორჯერ მეტი) გააზრება და, მათი საშუალებით, თავსატეხის ამოხსნა; • ლოგიკური აზროვნების განვითარება, აზრის დასაბუთება.
წინარე ცოდნა	მოსწავლეებს შეუძლიათ თვალსაჩინოებაზე დაკვირვება და საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება. ერთმანეთს უკავშირებენ თვლას, რიცხვებს შორის მიმართებებს და შეკრება-გამოკლების მოქმედებებს. შეუძლიათ მათემატიკური მოქმედებების დემონსტრირება თვალსაჩინოების გამოყენებით.
გაკვეთილის მნიშვნელობა/აქტუალობა	გაკვეთილი მნიშვნელოვანი იქნება იმ მხრივ, რომ განსაკუთრებით ზრდის მოსწავლის მოტივაციას. მოსწავლე ჩართულია აქტიურ სწავლაში, მუშაობს თვალსაჩინოების გამოყენებით, რის შედეგადაც სწავლა მისთვის უფრო საინტერესო და სახალისო ხდება. მოსწავლეები შეძლებენ ცოდნის ტრანსფერს მათემატიკიდან ქართულ ენაში – გაკვეთილის თემას დაუკავშირებენ მათემატიკაში ნასწავლ შეკრება-გამოკლების, შედარების ოპერაციებს. მოსწავლეებს განუვითარდებათ „-ით“ მეტი და „-ით“ ნაკლები ცნებების პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები. განივითარებენ დაკვირვების უნარს, ლოგიკურ აზროვნებას, შეძლებენ საკუთარი აზრის დასაბუთებას.
კავშირი ესგ-სთან	**ქართ. I.4. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და გაიგოს ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის ტექსტები და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • სვამს/პასუხობს შეკითხვებს მოსმენილ ტექსტთან დაკავშირებით/ **ქართ. I.14. მოსწავლეს შეუძლია მარტივი წინადადებების შედგენა ნაცნობ თემებზე.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • მასწავლებლის მიერ მოცემული სიტყვების მიხედვით აგებს მარტივ წინადადებას. **მათ. I.4. მოსწავლეს შეუძლია რაოდენობების შეფასება და შედარება.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • აკავშირებს „-ით” მეტობა/ნაკლებობას შეკრება/გამოკლების მოქმედებებთან და ახდენს ამის მოდელზე დემონსტრირებას.
სასწავლო რესურსი	მასწავლებლის მიერ შესრულებული მოთხრობის პერსონაჟთა ილუსტრაციები, დაფა, ცარცი, ფლიფჩარტი, სახელმძღვანელო, პროექტორი, ფერადი წებოვანი ბარათები, მასწავლებლის მიერ PowerPoint-ში დამზადებული ელექტრონული წიგნი, მასწავლებლის მიერ ფერადი ქაღალდებისგან გამოჭრილი ცხვრის გამოსახულებები.
გაკვეთილის მსვლელობა	**A ფაზა – გამოწვევა** **აქტივობა 1. მოლოდინის ხე (2წთ)** მასწავლებელი, მოტივაციის მიზნით, მოსწავლეებს სთხოვს, ფერად წებოვან ქაღალდებზე დააფიქსირონ თავიანთი განწყობა გაკვეთილის მიმართ. მოსწავლეები, „ღიმილების“ საშუალებით, გამოხატავენ განწყობას და წებოვან ბარათებს „მოლოდინის ხეზე“ აკრავენ. **აქტივობა 2 (2წთ)** მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს **გაკვეთილის თემას და მიზანს.** ეუბნება, რომ ძალიან საინტერესო თემაზე ექნებათ გაკვეთილი და იქვე განუმარტავს გაკვეთილის მიზანს, რას გააკეთებენ მიზნის მისაღწევად, როგორ შეფასდებიან გაკვეთილის ბოლოს. **აქტივობა 3 (3წთ)** **ლექსიკურ ერთეულებზე** მუშაობის მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს ფორმატზე წინასწარ დაწერილ, სავარაუდოდ, მათთვის უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს. მოსწავლეები ხსნიან უცნობ სიტყვებს, საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი ეხმარება. **B ფაზა – ცოდნის კონსტრუირება** **აქტივობა 4. ტექსტზე მუშაობა (კითხვა) (8წთ) (სლაიდ-შოუ)** მასწავლებელი, საჩვენებელი კითხვის მეთოდით, მის მიერ შექმნილი ელექტრონული წიგნის გამოყენებით, მოსწავლეებს ახალ ტექსტს წაუკითხავს, შემდეგ, მასწავლებელი და მოსწავლეები, თავიდან ბოლომდე, გუნდურად კითხულობენ, ასევე, მოსწავლეები ტექსტს წყვილებში და ინდივიდუალურად წაიკითხავენ. **აქტივობა 5. კითხვები ტექსტის ირგვლივ (5წთ)** ტექსტის კითხვის შემდეგ, მოსწავლეები, მასწავლებლის დამხმარე კითხვების დახმარებით, გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს და აანალიზებენ წაკითხულს. მასწავლებელი კლასს უსვამს გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს: – დაასახელეთ მოთხრობის მოქმედი გმირები? – სად შეხვდნენ ისინი ერთმანეთს? – რა უთხრა ვასომ პეტრეს? – პეტრემ რა უპასუხა? – როგორ ფიქრობთ, შეთანხმდებოდნენ პატარა მწყემსები? რატომ გგონიათ ასე? **ფიზიკულტურული წუთები** **აქტივობა 6. თვალსაჩინოებაზე („ცხვრის ფარა“) მუშაობა და თავსატეხის ამოხსნა (7წთ)** ტექსტის გააზრების შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გააკეთონ სათანადო დასკვნა, სავარაუდო ვარიანტები მოცემულია სახელმძღვანელოსა და სლაიდზე. მოსწავლეები კითხულობენ თითოეულ მათგანს და აანალიზებენ. ამაში მათ ეხმარება რესურსი – თვალსაჩინოება „ცხვრის ფარა“. მასწავლებელი, წინასწარ, დაფაზე გამოაკრავს ცხვრის გამოსახულებებს ისე, რომ თითოეულ რიგში იყოს ცხვრების შემდეგი რაოდენობა – 3, 6, 9, 12, 15. აქვე, თითოეულ რიგში, გამოყოფს ცხვრის გამოსახულებებს შემდეგნაირად: 1 და 2; 2 და 4; 3 და 6; 4 და 8; 5 და 10. ცხვრის გამოსახულებების ასეთი განლაგებით, მასწავლებელი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, თვალსაჩინოებაზე დაკვირვებით, კარგად გაიაზრონ მათემატიკური ცნება „ორჯერ მეტი“ (ორიოდენა). ეს მათ, ასევე, დაეხმარება, რომ უპასუხონ ტექსტში მოცემულ მთავარ კითხვას – გამოიცანი, რამდენი ცხვარი ჰყავდა ვასოს და რამდენი პეტრეს და ამოხსნან თავსატეხი. მოსწავლეები გამოდიან დაფასთან და, თვალსაჩინოების გამოყენებით, სხვადასხვა შემთხვევებს განიხილავენ: ა) ვასოს ჰყავდა 4 ცხვარი, პეტრეს კი – 3; ბ) ვასოს ჰყავდა 7 ცხვარი, პეტრეს კი – 5; გ) ვასოს ჰყავდა 8 ცხვარი, პეტრეს კი – 6. თითოეულს კითხულობენ გულდასმით და აანალიზებენ. მოსწავლეები, სავარაუდოდ, ამოხსნიან თავსატეხს და შეარჩევენ სწორ პასუხს – ბ). თუ ვასო ერთ ცხვარს მისცემდა პეტრეს, მაშინ ვასოს დარჩებოდა 7-1 = 6 ცხვარი. პეტრეს გაუხდებოდა 5+1 = 6 ცხვარი. ამ შემთხვევაში, მათ ცხვრები ტოლად ეყოლებოდათ. **C ფაზა – გამთლიანება** **აქტივობა 7. წერითი დავალება (5წთ)** მოსწავლეებს დავალებად ეძლევა, ახალი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით, სურვილისამებრ, შეადგინონ ორსამსიტყვიანი წინადადებები და ჩაწერონ რვეულებში. მოსწავლეები წაიკითხავენ თავიანთ ნამუშევრებს. **აქტივობა 8. შეჯამება-შეფასება (3წთ)** მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს, აზუსტებს რა შეისწავლეს მოსწავლეებმა დღევანდელ გაკვეთილზე, როგორ შეძლეს ეს, რა მოეწონათ? რა არ მოეწონათ? მიუბრუნდებიან „მოლოდინის ხეს“, სადაც, გაკვეთილის დასაწყისში, დაფიქსირდა მათი განწყობა. მოსწავლეები, გაკვეთილის ბოლოს, შეაფასებენ რამდენად გამართლდა მათი მოლოდინები. შემდეგ მოსწავლეები შეფასდებიან შეფასების რუბრიკების მიხედვით. გაკვეთილის ბოლოს კი, მათ ეძლევათ საშინაო დავალება – დახატონ პატარა მეცხვარეები და მიანერონ თავიანთი სახელები.
შეფასება	მოსწავლეები, მასწავლებლის დაკვირვების საფუძველზე, შეფასდებიან განმავითარებელი კომენტარებით.

დასკვნა: უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის დამახასიათებელია თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნება. ბავშვებს უჭირთ სიტყვიერად გამოთქმული აზრის გაგება, თუ არ აქვთ თვალსაჩინო დასაყრდენი. რა თქმა უნდა, ამ ასაკის ბავშვს ლოგიკური აზროვნებაც შეუძლია, მაგრამ იგი უფრო მგრძნობიარეა ისეთი სწავლებისადმი, რომელიც თვალსაჩინოებას ეყრდნობა.

პირველკლასელისათვის მართლაც ძნელია ცნება „ორჯერ მეტის“ (ორიოდენა) გააზრება, თვალსაჩინოების გარეშე. მოსწავლეებს გაუჭირდებოდათ თავსატეხის ამოხსნა, დამხმარე რესურსი რომ არ ყოფილიყო გამოყენებული. აღნიშნული თვალსაჩინოების დახმარებით მოსწავლეებმა კარგად შეძლეს თავსატეხის ამოხსნა და დასკვნის გამოტანა. ვფიქრობ, სწორედ ეს აქტივობა იყო ყველაზე გადამწყვეტი და საუკეთესო ამ გაკვეთილზე. სწორად მოფიქრებულმა სტრატეგიამ და ზუსტად შერჩეულმა აქტივობებმა მოსწავლეები შედეგამდე მიიყვანა – მათ შეძლეს სწორი ანალიზისა და დასკვნის გაკეთება. ინტეგრირებული გაკვეთილის პროცესში მოსწავლეებს საშუალება მიეცათ, ემსჯელათ, გამოეტანათ ლოგიკური დასკვნები, გამოევლინათ ტრანსფერული ცოდნა და უნარები, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეზე ორიენტირებული პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას.

შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	**კარგი**	**საშუალო**	**დაბალი**
მოსწავლემ წაიკითხა ტექსტი და გადმოსცა შინაარსი.	მოსწავლემ კარგად წაიკითხა ტექსტი და გადმოსცა მისი შინაარსი.	მოსწავლემ წაიკითხა ტექსტი, თუმცა, გაუჭირდა მისი შინაარსის გადმოცემა.	მოსწავლემ ვერ წაიკითხა ტექსტი და ვერ გადმოსცა მისი შინაარსი.
მოსწავლემ, ახალი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით, შეადგინა წინადადებები და რვეულში ჩაწერა.	მოსწავლემ, ახალი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით, სწორად შეადგინა წინადადებები და რვეულში ჩაწერა.	მოსწავლეს, ახალი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით, გაუჭირდა წინადადებების შედგენა და რვეულში ჩაწერა.	მოსწავლემ, ახალი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით, ვერ შეადგინა წინადადებები და ვერ ჩაწერა რვეულში.
მოსწავლემ, თვალსაჩინოების გამოყენებით, შეძლო მათემატიკური მოქმედებების დემონსტრირება და გააანალიზა მათემატიკური ცნებები (მეტი, ნაკლები, ტოლი, ორჯერ მეტი).	მოსწავლემ, თვალსაჩინოების გამოყენებით, კარგად შეძლო მათემატიკური მოქმედებების დემონსტრირება და გააანალიზა მათემატიკური ცნებები (მეტი, ნაკლები, ტოლი, ორჯერ მეტი).	მოსწავლემ გამოიყენა თვალსაჩინოება, თუმცა გაუჭირდა მათემატიკური მოქმედებების დემონსტრირება და მათემატიკური ცნებების (მეტი, ნაკლები, ტოლი, ორჯერ მეტი) ანალიზი.	მოსწავლემ, თვალსაჩინოების გამოყენებით, ვერ შეძლო მათემატიკური მოქმედებების დემონსტრირება და ვერ გააანალიზა მათემატიკური ცნებები (მეტი, ნაკლები, ტოლი, ორჯერ მეტი).
მოსწავლემ გააკეთა დასკვნა და შეძლო თავსატეხის ამოხსნა.	მოსწავლემ გააკეთა სწორი დასკვნა და შეძლო თავსატეხის ამოხსნა.	მოსწავლეს გაუჭირდა დასკვნის გაკეთება და თავსატეხის ამოხსნა.	მოსწავლემ ვერ გააკეთა დასკვნა და ვერ შეძლო თავსატეხის ამოხსნა.

ნინო ვაშალომიძე
სსიპ ქალაქ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ეროვნული სასწავლო გეგმა (დაწყებითი საფეხური);
2. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი. მეორე ნაწილი.

სწავლების მეთოდი

თამაში ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას

დღევანდელი სკოლა და მასწავლებელი დიდი გამოწვევის წინაშე დგას. როგორც ახალი ესგ, ისე დღევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობა ჩვენგან არა ცოდნის დაგროვებაზე ორიენტირებულ გაკვეთილს ითხოვს, არამედ ახალ მეთოდებსა და მიდგომებს საგაკვეთილო პროცესში, რაც ხელს უწყობს ისეთი უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში დასჭირდებათ, შეძლებენ შეძენილი ცოდნის ტრანსფერს პრაქტიკულ საქმიანობაში.

მოსწავლე, მასწავლებელი და, შესაბამისად, თითოეული გაკვეთილი ინდივიდუალურია, ამიტომაც მასწავლებელი ვალდებულია, კლასისა და სკოლის შესაძლებლობების გათვალისწინებით, დაგეგმოს ისეთი აქტივობები თუ თამაშები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, სასწავლო პროცესს სახალისოს და შემოქმედებითს გახდის, ამასთან გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში.

ასეთი აქტივობების განხორციელებისათვის სხვადასხვა რესურსი არსებობს, მათ შორის ერთ-ერთი მთავარია ისტ, რომლის მიმართაც დიდია მოსწავლეთა ინტერესი. სწორედ ამ ინტერესს უნდა მივცეთ სწორი მიმართულება, რომ მოსწავლეებმა გაიგონ როგორ გამოიყენონ ტექნოლოგიები მაშინ, როცა სჭირდებათ სამუშაოს დაგეგმვა, მუშაობის წარმართვა, ინფორმაციის შეგროვება-დახარისხება და მიზნობრივად გამოყენება. გასულ სასწავლო წელს, მე-5 კლასში, პირველი სემესტრის ბოლოს, შესწავლილი მასალის გამეორება-განმტკიცების მიზნით, რამდენიმე აქტივობა განვახორციელე, თითოეული მათგანი მოსწავლეზე ორიენტირებული იყო და მიზანიც მიღწეული.

აქტივობა: „მე მქვია“ ან „ჩემი სახელია“

მოსწავლეთა სახელებია: წრფე; სხივი; მონაკვეთი; ტეხილი; განტოლება; შეკრება; გამოკლება; გამრავლება; გაყოფა; ასოითი და რიცხვითი გამოსახულება.



შემდეგ იმართება მცირე დისკუსია. ამ აქტივობით მოსწავლეები კიდევ ერთხელ მიუბრუნდნენ სახელმძღვანელოს, წაიკითხეს და გაიაზრეს ძირითადი ცნებები.

ეს აქტივობა ეხმარება მათ შეძენილი ცოდნის განმტკიცებასა და სასიცოცხლო უნარების განვითარებაში. მაღალი იყო მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში.

აქტივობა: „პრაქტიკული მუშაობა“

მოსწავლე იღებდა ბარათს მითითებული დავალებით და შინაარსის შესაბამისად ირჩევდა სამუშაო რესურსს: ცხრილს, სქემას, ფიგურას.

იმართებოდა პრეზენტაციები და დისკუსია.



მოსწავლე დავალების შინაარსის შესაბამისად ირჩევს სამუშაო რესურსს: ცხრილს; სქემას; გეომეტრიულ ფიგურას.



მოსწავლეებს სამუშაოს შესასრულებლად ეძლევათ დრო, შემდეგ თითოეული მათგანი აკეთებს პრეზენტაციას და იმართება მცირე დისკუსია. ერთმანეთს ეკითხებოდნენ, პასუხობდნენ და რჩუნდებოდნენ.

აქტივობა: „მათემატიკური ლოტო“

Power-point-ში აგებული მაქვს 91 სლაიდი, პირველი 90 სლაიდი იმ ძირითად საკითხებს მოიცავს, რომლებიც 1-ლ სემესტრში შევისწავლეთ, 91-ე სლაიდზე კი მოცემულია ცხრილი, რომლის მიხედვითაც იწყება თამაში. მოსწავლე ჩანთიდან იღებს ლოტოს ნომერს, მაგალითად – 87, ვაწკაპუნებთ 87 ნომერზე, ეკრანზე გამოჩნდება კითხვა. მოსწავლე პასუხობს კითხვას და პასუხის შესაბამის რიცხვზე დებს ლოტოს ქვას (ვიცავთ ლოტოს თამაშის წესებს). იმდენად დიდი იყო ინტერესი ამ აქტივობის მიმართ, რომ მთელი კლასი ითხოვდა, ხშირად ჩაგვეტარებინა ეს თამაში.



თამაშ-თამაშით შესაძლებელი გახდა შესწავლილი მასალის გამეორება-განმტკიცება. მოსწავლეებს უვითარდებათ სწრაფი და დამოუკიდებელი აზროვნების, კითხვის, ზეპირი ანგარიშისა და შემოქმედებითობის უნარები. რამდენიმე მოსწავლემ განაცხადა: ისტ-ის გამოყენებით, მეც რაიმე მსგავს თამაშს მოვიფიქრებო. ეს ხომ დიდი მიღწევაა, როცა მოსწავლე კომპიუტერსა და ინტერნეტს გამოიყენებს მიზნობრივად, სურვილი უჩნდება შექმნას მცირე ზომის სასწავლო რესურსი, რომელსაც სხვა დროს, სხვა მოსწავლეები გამოიყენებენ.

სწორად შერჩეული აქტივობებით სწავლა-სწავლება სახალისო, სასიამოვნო პროცესად გადაიქცევა.



მერი ჯაფარიძე
სსიპ ჯემალ ქათამაძის სახ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ციხისძირის საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი

სწავლების მეთოდი

პატარა სტატისტიკოსები

მათემატიკის საგნის სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეები, ზოგიერთი საკითხის შესწავლისას, სვამენ შეკითხვებს: რაში გამოგვადგება ეს საკითხი? რა საჭიროა ამის სწავლა? ერთ-ერთი ასეთი საკითხი მონაცემთა ანალიზი და სტატისტიკაა.

მოსწავლეებს უჭირთ ნასწავლი მასალის პრაქტიკაში გამოყენება, უჭირთ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვება, დახარისხება და ხელსაყრელი ფორმით წარმოდგენა,ზოგიერთს უჭირს საკუთარი ცოდნისა და შესაძლებლობების წარმოჩენა.

ნებისმიერმა პიროვნებამ, 21-ე საუკუნეში, აუცილებლად უნდა შეძლოს სხვადასხვა დიაგრამით წარმოდგენილი მონაცემებიდან დასკვნების გამოტანა, სხვადასხვა ხერხით წარმოდგენილი ელემენტარული სტატისტიკური მონაცემების წაკითხვა. როდესაც მოსწავლე თავისივე ხელით შექმნის მსგავსი ტიპის დიაგრამებს, მათი გაანალიზება აღარ გაუჭირდება.

სწორედ ამიტომ, მოსწავლეებს შევთავაზე არატრადიციული გაკვეთილი და ავირჩიე პროექტული სწავლების მეთოდი. მათთან ერთად დავგეგმე და განვახორციელე საგაკვეთილო პროექტი – „პატარა სტატისტიკოსები“. ერთად დავსახეთ სრულიად ახალი ამოცანები, რაც ტრადიციული გაკვეთილისაგან განსხვავდებოდა და რის შედეგადაც, მოსწავლეებმა მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები პრაქტიკაში გამოიყენეს. მოგეხსენებათ, პროექტი მოსწავლეებს კვლევით, შემოქმედებით, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარებს უვითარებს. აღნიშნულმა პროექტმა კი აამაღლა მათი მოტივაცია, სკოლის არქივიდან საინტერესო ინფორმაციები მოიძიეს, რაც სვეტოვანი დიაგრამების სახით წარმოადგინეს.

პროექტ-გაკვეთილის დაგეგმვისას უნდა გავითვალისწინოთ:

- პროექტის მსვლელობისას, მასწავლებელი უნდა იყოს გეზის მიმცემი;
- პრობლემა აქტუალური უნდა იყოს, დაგეგმილი აქტივობები თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას უნდა ემსახურებოდეს;
- პროექტის განსახორციელებლად მატერიალური და ადამიანური რესურსები უნდა არსებობდეს;
- ვადები ისე განისაზღვროს, რომ საკმარისი იყოს პროექტის შედეგების მისაღწევად;
- გუნდის წევრებს შორის ფუნქციები ისე იყოს გადანაწილებული, რომ ყოველი წევრის ძლიერი მხარე წარმოჩინდეს.

პროექტული სწავლების ძლიერი მხარეებია:

- მოსწავლეები თვითონ არიან პასუხისმგებელნი საკუთარ სამუშაოზე, რაც უვითარებს და ზრდის მათ პასუხისმგებლობას;
- მასწავლებელი არის ფასილიტატორი;
- მასწავლებელი მხოლოდ რჩევებს აძლევს ან დასმულ შეკითხვებს პასუხობს.

ჩემ მიერ განხორციელებული კვლევის შემდეგ მოსწავლეებმა შეძლეს შესწავლილი მასალის პრაქტიკაში გამოყენება, ინფორმაციის დამოუკიდებლად შეგროვება, დახარისხება და ხელსაყრელი ფორმით წარმოდგენა, მათ შექმნეს რესურსი.

პროექტ-გაკვეთილის შედეგად, მოსწავლეებს განუვითარდათ თანამშრომლობის, კომუნიკაციის, ტრანსფერის, პრეზენტაციის, ანალიზის, თვითშეფასების, რეფლექსიის და შემოქმედებითობის უნარ-ჩვევები.

გთავაზობთ განხორციელებული პროექტის აქტივობებს:

1) მოსწავლეთა სამუშაო ჯგუფებად დაყოფა და ფუნქციების გადანაწილება;

2) პროექტის პრეზენტაცია მოსწავლეებთან;

3) სკოლის დირექციის, კათედრის მოწვევა და დაგეგმილი პროექტის გაცნობა;

4) მოსწავლეების გამოკითხვა დამრიგებლებთან თანამშრომლობით;

5) სკოლის არქივში ვიზიტი და ინფორმაციის ორგანიზება, დახარისხება;

6) ისტ კაბინეტში მუშაობა (მონაცემებისთვის დიაგრამების შერჩევა);

7) შექმნილი რესურსის გაკვეთილზე პრეზენტაცია;

8) შექმნილი რესურსის სკოლის სივრცეში გამოფენა.

აქვე წარმოგიდგენთ მოსწავლეების მიერ შექმნილ რესურსს:



გისურვებთ წარამტებებს!

ლალი აბულაძე
საჩხერის მუნიციპალიტეტის
პაოლო იაშვილის სახელობის არგვეთის საჯარო სკოლის
მათემატიკის მასწავლებელი

ბიოლოგიის სწავლებისთვის

იმიტაცია ცხოველებში

ჩვენ ადამიანებში უფრო ადვილად ვხედავთ სოციალური ცოდნის შეძენას, ამ პროცესს თავისთავად, ბუნებრივად ვიღებთ ანდა ვფიქრობთ, რომ სოციალურ ცოდნას მხოლოდ ადამიანები იძენენ. სოციალური ცოდნის შეძენას შეიძლება შევხვდეთ ცხოველებშიც, რომლებიც ძალიან დიდი ხნის წინ გაგვემიჯნენ.

სიტყვა „იმიტაცია“ მიბაძვას, მიმსგავსებას ნიშნავს. ცხოველებში იმიტაციის მეშვეობით დასწავლის უნარმა მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ცხოველებში იმიტაციის მრავალი ფორმა არსებობს, სახეობები აქტიურად მიმართავენ იმიტაციის სხვადასხვა ფორმას, რაც მათ ეხმარებათ, არსებობისათვის ბრძოლაში გადარჩნენ და დატოვონ შთამომავლობა. აღნიშნულ სტატიაში განვიხილავთ იმიტაციის ფორმებს, რომლებიც დამახასიათებელია ცხოველთა სამეფოსთვის და მოვიყვანთ შესაბამის მაგალითებს.

იმიტატორის მიზანია იმ ინდივიდს დაემსგავსოს, რომლის ქცევები მისთვის სასურველი ხდება. მტაცებლები, ხშირ შემთხვევაში, ისეთ მსხვერპლს უტევენ, რომლებიც განმარტოებით დგანან ჯოგიდან. მოიქცე ისე, როგორც სხვები იქცევიან, ანუ იდგე ჯოგთან ერთად, ამცირებს მტაცებლის თავდასხმის რისკს. ტენდენცია იმისა, რომ ცხოველმა თავისი ქცევა ჯგუფის სხვა წევრის ქცევას მოარგოს, შესაძლოა გარკვეული სახეობებში, სოციალიზაციასათან ერთად, ჩამოყალიბდა. ცხოველთა მსგავსი ქცევა ადვილად დასანახია, განსაკუთრებით მაშინ, თუ დავაკვირდებით ჯოგებად მცხოვრებ ცხოველებს ან გუნდებად მცხოვრებ ფრინველებს. პატარა ბეღურა იმახსოვრებს სიმღერას, მისი სახეობის სხვა ინდივიდების მოსმენის საშუალებით. წამოზრდილი ჩიტი ისმენს თავის სიმღერას და ადარებს მას დამახსოვრებულ სიმღერას. როცა ბეღურას სიმღერა დაემთხვევა მის მიერ დამახსოვრებულს, იგი აყალიბებს ამ სიმღერას, როგორც საბოლოო ვარიანტს და სიცოცხლის ბოლომდე მხოლოდ ამ ვარიანტს მღერის.

იმიტაციის ზოგიერთ ფორმას ცხოველები სოციალური მესიჯის გადასაცემად იყენებენ. მაიმუნებზე ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ქცევის სრულყოფა შეიძლება იმიტაციის მეშვეობით. მაიმუნები გამოსცემენ გარკვეულ მკაფიო განგაშის ძახილს, როცა დაინახავენ ლეოპარდს, რომელიც მათზე ნადირობს. ამ განგაშის მაუწყებელი ძახილის გაგონებაზე ისინი ხეზე არბიან. პატარა ასაკის მაიმუნები სწორი ძახილის გამოცემას ჯგუფის სხვა წევრების ძახილის იმიტირებით და სოციალური დასტურის მიღების საშუალებით სწავლობენ. მაგალითად, თუ პატარა მაიმუნი სწორად გამოსცემს განგაშის ძახილს, ჯგუფის სხვა წევრებიც გამოსცემენ იმავე ხმას, მაგრამ თუ პატარა მაიმუნმა არასწორად გამოსცა ხმა, მაშინ ჯგუფის უფროსი წევრები ჩუმად არიან.

იმიტაციის ერთ-ერთი ფორმაა რაღაცის კეთების სწავლა, სხვისი ყურების საფუძველზე. ამ ეტაპზე არ არსებობს სრული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ ცხოველებს შეუძლიათ იმიტაციით სწავლა. მაგალითად, მაიმუნები სწავლობენ ჯოხის გამოყენებას, რათა მოსწიონ ტოტი ან რაიმე საგანი, აგრეთვე, ჯოხის მეშვეობით მათ ტერმიტების ჭამა შეუძლიათ. ამ კუთხით უამრავი კვლევა ტარდება ცხოველებზე. ამ კვლევების ერთ-ერთი მიზანია ისეთი ცხოველების აღმოჩენა, რომლებსაც იმიტაციით დასწავლის უნარი აქვთ. იმიტაციის ასეთ ფორმას, როდესაც ხდება რთული მექანიზმის დასწავლა და გამეორება, პროგრამული დონის იმიტაციას უწოდებენ. განვითარებული პრიმატები, პროგრამული დონის იმიტაციაზე დასაკვირვებლად, ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზმებია ცხოველთა სამყაროში. პროგრამული დონის იმიტაციის მაგალითი შეისწავლეს შიმპანზეებზე. ისინი იყენებენ ქვებს ნაჭუჭის გასატეხად და საკვების მოსაპოვებლად. პატარა შიმპანზე აკვირდება და სწავლობს ამ ქცევას. პირველივე დანახვისთანავე, წარმატებით ვერ იმიტირებს კაკლის გატეხვის პროცესს, ჭირდება დრო და ვარჯიში აღნიშნული ქმედების განსახორციელებლად.

მაიმუნები, რომლებიც ადამიანებთან ერთად ცხოვრობენ, გასაოცრად რთულ ქმედებებს იმეორებენ. მაგალითად, მაიმუნმა სულის შებერვით გააღვივა ნაკვერჩხალი, შემდეგ გამოიყენა ტაფა და გააგრძელა ნაკვერჩხლის გაღვივება, ბოლოს აიღო ნავთი და დაასხა ნაკვერჩხალს.

შეხვედრა პროფესორ რიჩარდ ბირნთან, პრიმატოლოგთან

უნდა აღინიშნოს, რომ ცხოველთა არც ერთ სახეობაში არ ვხვდებით იმ დონის სოციალური ცოდნის მიღებისა და კულტურული მემკვიდრეობის გადაცემის ფენომენს, როგორც ამას ადგილი აქვს ადამიანებში.

ნატო შათირიშვილი
ვლადიმირ კომაროვის თბილისის
ფიზიკა-მათემატიკის
№199 საჯარო სკოლის ბიოლოგიის
მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. Richard W. Byrne, „Animal imitation“;
2. კემპბელი ნ., რისი ჯ., ბიოლოგია, ნაწილი მე-8, ეკოლოგია, მე-7 გამოცემა, ილიას უნივერსიტეტი, 2009.

წიგნის თარო

გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

5 ლარი

12 ლარი

10 ლარი

9 ლარი

8 ლარი

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე



4 ლარი



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული
ტექსტი და ანალიტიკური
გზამკვლევი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

15 ლარი

19 ლარი

19 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია
გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე გარამია

გავიმეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

წიგნი I
V-XVIII სს
მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

ეროვნული გამოცდისათვის

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა



15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

15 ლარი

ტექსტის გააზრება და ანალიტიკური წერა
კრებული მოიცავს მცირე თეორიულ მასალას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს, კერძოდ სხვადასხვა ტესტებს: გასააზრებელ ტექსტებს შეკითხვებით და სავარაუდო პასუხებით, ასევე მხატვრული ტექსტების გააზრების სავარჯიშოებს, ესეს წერის დროს გასათვალისწინებელ თეორიულ მასალას და კონკრეტულ ნიმუშებს.

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ქართული (I-VI კლასი) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

11 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

კრებული სრულად ფარავს პროგრამას I-IV კლასების კომბინირებული გამოცდისთვის. მასში 1000-მდე ტესტური დავალებაა პასუხებით და მეთოდური რეკომენდაციებით.

15 ლარი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.